# საერთო გაზეთი

№17 (609)
ოთხშაბათი
12 მაისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ელიზბარ ჯაველიძე:
## რა უნდათ „ნაციონალებს“ პარლამენტში?



მათ ისეთი რაღაცეები აქვთ გაკეთებული, რაც ფაშისტებსაც კი არ მოსვლიათ თავში აზრად



## ვახტანგ ხარჩილავა:
## რატომ მიერეკებიან საქართველოს მეორედ კოჲაბიტაციის გამოქვაბულში?



ნიკა მელიამ პირველივე ინტერვიუში დაადასტურა ის, რაზეც „საერთო გაზეთი“ დიდი ხანია აფრთხილებს საზოგადოებას – ექიმი ჭირდება ამ კაცს, სერიოზული მკურნალობა სჭირდება...

## ლევან ვასაძე:
## ვაპირებ, დავუპირისპირდე იმ გლობალისტურ სისტემას, რომელიც აუზედურებს ჩვენს ერს!“






ფრაგმენტები წიგნიდან
## „მომავალი უკვე დღესაა“

## თურმე შესაძლებელია, დღეს სამყაროში თევზის ჭერა გახდეს შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი

## ფრანციცულიდან რუსულზე და შემდეგ ინგლისურზე გადატყლარჭული ერი

## „მხედრიონში“ ძველი ცოდვების გარჩევის საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა







ვინ არის თემურ ხაჩიშვილი და ვის უთხრა გია ყარყარაშვილმა: შენ ხარ ის კაცი, თბილისში ხალხს რომ ხოცავს?

## „კოლექტიური პილატეები“ და ორი გზა

ვაი ჩვენს ბედს, 2000 წლის შემდეგ იგივე განმეორდა ჩვენს ქვეყანაში, როცა დღევანდელმა „კოლექტიურმა პილატეებმა“, უპირობოდ გაათავისუფლეს თანამედროვე ქართველი „ბარაბა“.

## შაქრო, მესამე ჭანჭიკი და დაჭყეტილი ტლაოკი

## „იმუნო ჰერბი“ – პანაცეა კორონა-ვირუსის წინააღმდეგ

გვესაუბრება ექიმი-ჰომეოპათი კახა საბახტარიშვილი

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# რედაქტორის გვერდი



ვახტანგ ხარჩილავა:

შარლ მიშელის „ბიბლიაზე“, ანუ მის მიერ ქართველებისთვის სამოქმედო გეგმად დატოვებულ დოკუმენტზე დაფიცება, ჯერჯერობით, არც „ნაცმოძრაობას“ და არც მის ტყვედ ჩავარდნილ ლიდერს ნიკანორ მელიას არ სურთ, უფრო ზუსტად, არ სურს ეს პოლიტკოლონია „ნაცმოძრაობის“ მეპატრონეს, პოლიტფეოდალ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც მელიას ციხიდან გამოშვება-არგამოშვებით დიდხანს ევაჭრებოდა დასავლეთს, რომ ამ ვაჭრობიდან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო.

ბევრი ჭკუისკოლოფი ვერა და ვერ მიხვდა, რომ მელია „ქართული ოცნების“ კი არა, სააკაშვილის პირადი ტყვეა, რომელიც პატრონის მითითებებს ასრულებს და მანამდე იჯდება ციხეში, სანამ კიევიდან მისი გათავისუფლების ნებართვა არ მოვა.

ამბავი, რომელსაც ოპოზიცია დრამად და ტრაგედიად წარმოაჩენს, კომედიაა, რომლის მთავარი პერსონაჟი მელია, გმირი რომ ჰგონია თავი, სინამდვილეში, სააკაშვილის თუთიყუშია, რომელიც „ქართული ოცნების“ გალიაში მისმა პატრონმა — სააკაშვილმა ჩასვა.

ასეა თუ ისე, მელია გალიიდან არ გამოდის, სამაგიეროდ, ლევან ვასაძე გამოვიდა თავისი კომფორტული გალიიდან და ახალი მოძრაობის დაფუძნება დააანონსა, რომელიც მომავალში პარტიად უნდა გადაკეთდეს თურმე.

ლევან ვასაძისგან მსგავსი დაპირებები ადრეც ბევრჯერ გვსმენია, მაგრამ ვასაძე ისევ ისე მოულოდნელად გაუჩინარდებოდა ხოლმე, როგორც გამოჩნდებოდა.

— ახლა უკვე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, პოლიტიკაში მოვიდე და ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება, — განაცხადა ბატონმა ლევანმა.

როგორც გაირკვა, ეს გადაწყვეტილება ვასაძეს შარლ მიშელის დოკუმენტმა მიაღებინა, რომელშიც მან ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემცირება-შევიწროების საფრთხე დაინახა.

ასე რომ, თუ ვასაძის ახალი პარტია შეიქმნება, ეს შარლ მიშელის დამსახურება იქნება.

სხვათა შორის, დიდი ინტერესით ვუსმინე ლევან ვასაძის ინტერვიუს ირაკლი იმნაიშვილთან „რუსთავი-2“-ზე და, სიმართლე გითხრათ, ბევრი მისი მოსაზრება აბსოლუტურად სწორი მომეჩვენა, თუმცა ეს ყველაფერი რაღაცით ჰგავდა უკან მიდევნებულ ლამპარს და მუშტების ქნევას უკვე დამთავრებული ჩხუბის შემდეგ.

პოლიტიკას არ უყვარს უკანა რიცხვით საუბარი.

თუ გინდა, პოლიტიკაში წარმატებას მიაღწიო, ის, რაც ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ უნდა გეთქვა, ათი თუ თხუთმეტი წლის შემდეგ კი არ უნდა მითხრა, არამედ მაშინვე უნდა თქვა და მაშინვე უნდა დაიწყო მოქმედება.

რასაც დღეს ლევან ვასაძე ამბობს, ჩვენ ეს ყველაფერი დიდი ხანია ვიცით და დიდი ხანია ამაზე ხმამაღლა ვლაპარაკობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ რეალობის შეცვლის ძალა არ გვაქვს.

აღმოაჩნდება კი ლევან ვასაძეს და მის მომავალ პარტიას ის ძალა და ენერგია, რომელიც იმ ურთულესი პრობლემების დაძლევას მოახერხებს, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას, მით უმეტეს, რომ ეს პრობლემები ძალიან ღრმად და საფუძვლიანად არის უკვე ჩაბეტონებული ქართული სახელმწიფოს შენობის საძირკველში.



ქართული პოლიტიკა სიურპრიზებით არის სავსე — ვის გამოჩენასაც ველოდით, ის არ გამოჩნდა და ვის გამოჩენასაც არ ველოდით, ის მოვიდა.

გახარიას ველოდით და ვასაძე შეგვრჩა ხელთ.

ამ ორ ფიგურას დიდი არაფერი აქვს საერთო ერთმანეთთან, თუმცა დარწმუნებული ვარ, გახარიაც რომ გამოჩნდეს, მასაც ზუსტად იგივე კითხვებს დაუსვამენ, რასაც ახლა ვასაძეს უტრიალებენ ცხვირწინ: თქვენზე ამბობენ, რომ რუსული პროექტი ხართ. მართალია ეს?

გახარიაც იგივეს უპასუხებს, რაც ვასაძემ უპასუხა: ეს ტყუილია!

ჟურნალისტები, რომლებიც პროდასავლურობას თამაშობენ, ამ კითხვას რესპონდენტის კომპრომეტაციის მიზნით, მის გასაშავებლად და „დასაჩმორებლად“ სვამენ — რუსული პროექტი თუ ხარ, ე. ი, ცუდი ხარ, დასავლური პროექტი თუ ხარ — კარგი ხარ.

ასე მარტივად და პლებეურად წყვეტენ საკითხს ეს ფსევდო-ჟურნალისტები, ფსევდო-ექსპერტები, ფსევდო-ანალიტიკოსები, რომელთა უმრავლესობა თავად არის ვიღაცის პროექტი.

ქართული პროექტი უნდა იყო, ქართული, თორემ დასავლური პროექტი რითი სჯობს რუსულ პროექტს — ან ერთს, ან მეორეს როდის რა ხეირი დაუყრია საქართველოსთვის.

ქართული პოლიტიკა ნელნელა ემსგავსება ბალ-მასკარადს, სადაც ნაირ-ნაირი ნიღბებით შენიღბული მოცეკვავეები რაღაც უცნაურ ცეკვას ცეკვავენ წელში წახრილები, წაკუზულები, წაფერდებულები...

ამ ბალ-მასკარადში ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილი ლევან ვასაძე, წელზე ქამარხანჯლით და ხელში კომბლით, დაუპატიჟებელ უცხო სტუმარს ჰგავს, რომელსაც დამხვდურები თავისიანად არ მიიჩნევენ.

რას იზამს მეორე სტუმარი, გიორგი გახარია, რომელსაც დღე-დღეზე ელოდებიან?

ის, ალბათ, ფრაკით, გაპრიალებული ლაცკანებით, თეთრ პერანგზე შავი „ბაბოჩკით“ მოვა, დამხვდურებს თვალს ჩაუკრავს და მოცეკვავეთა რომელიმე ჯგუფს შეუერთდება.

ასე რომ, წინ საინტერესო სანახაობა გველოდება...

**მინაწერი: სანამ „საერთო გაზეთის“ ახალი ნომერი გამოვიდოდა, ნიკა მელიაც გამოვიდა ციხიდან.**

**სხვანაირი გამოვიდა, თქვა „მთავარმა“, თუმცა ნიკას სხვანაირობისა არაფერი ეტყობა.**

**ნიკა მელიამ პირველივე ინტერვიუში დაადასტურა ის, რაზეც „საერთო გაზეთი“ დიდი ხანია აფრთხილებს საზოგადოებას — მელია, მისი პიროვნული თვისებების გამო, პოლიტიკისთვის უვარგისი კაცია და, როგორც ჩანს, ის ამას თვითონაც მშვენივრად ხვდება.**

**— ხანდახან რისხვა იფეთქებს ჩემში და თავს ვერ ვაკონტროლებო... სამუშაო მაქვს ამ მხრივო... ბრაზი არ მაქვს, მაგრამ პარლამენტარები რომ დავინახო, რომლებმაც ორჯერ იმუნიტეტი მომიხსნეს და მერე ციხეში გამიშვეს, შეიძლება, კონტროლი დაკარგო ადამიანმა, მაგრამ ბრაზი უნდა აკონტროლოო... სამუშაო მაქვსო... მაგრამ არავინ თქვას, არ არის ეს ადვილიო — თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ნიკანორი (ეტყობა, თავის თავთან ლაპარაკს მიეჩვია ციხეში...)**

**მართალია ნიკანორი — ის ფსიქიურად გაუწონასწორებელი, ზედმეტად იმპულსური და ფეთქებადი ხასიათის კაცია, რომელსაც რისხვის დაოკება და საკუთარი თავის გაკონტროლება უჭირს.**

**— სამუშაო მაქვს ამ მხრივ და ვიმუშავებო — კი შეგვპირდა პატივცემული ნიკა, მაგრამ ამ საკმაოდ მძიმე ფსიქიკური პრობლემების დაძლევა მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობით თითქმის შეუძლებელია.**

**ექიმი სჭირდება ამ კაცს, სერიოზული მკურნალობა სჭირდება, თორემ ასეთმა ადამიანმა პოლიტიკაში შეიძლება ბევრი უბედურება დაატრიალოს (ერთი უბედურება ხომ დაატრიალა უკვე).**

**არა მარტო ნიკანორს, ექიმი სჭირდება მის ბოსსაც, თავად სამკურნალო, საქართველოს განკურნებას რომ აპირებს...**

**რა ხდება ამ ქვეყანაში, ჭკვიანი, ნორმალური, განათლებული ადამიანების ხმა რომ არ ისმის და შლეგები და კრამიტდაცურებულები რომ გვმოძღვრავენ?**



# რა უნდათ „ნაციონალებს“ პარლამენტში? მათ ისეთი რაღაცები აქვთ გაკეთებული, რაც ფაშისტებსაც კი არ მოსვლიათ თავში აზრად

*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*



— ბოლო დროს, ძალიან სენტიმენტალური განწყობა მაქვს. სამწუხაროდ, დღეს, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის, ძირითადი, ნაწილი მიმართულია იქეთკენ, რომ როგორმე ქართველი ერი გაანადგუროს, მოსპოს. ამ განწყობას სულ ვხედავ. ვაჟა-ფშაველას ლექსი ხომ გახსოვთ: „ხარს ვგავარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ; ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! მძინარიც იმას ვდუდუნებ“. აი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველის განწყობა. სწორედ, ერისა და ქვეყნის სიყვარულია მთავარი. ამ გზაზე დიდმა ადამიანებმა თავისი სიცოცხლე დადეს და გაწირეს. ამ მოღვაწეთა დარად, თავი არ მიმაჩნია. ამ დიდი იდეით იყო განმსჭვალული ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვა მთელი რიგი წყება ქართველებისა, რომლებიც მზად იყვნენ შვილები, ოჯახი გაეწირათ, რათა სამშობლო გადაერჩინათ. დღევანდელ რეალობას რომ ვუყურებ, გული სევდით მევსება და იცით რატომ? — ჩვენს თვალწინ ხდება ერის ღირსების ჩაკვლა, ქართველი კაცის დაკნინება, თავმოყვარეობის შელახვა. გავიხსენოთ, დიდი ილია — სამშობლოზე, ერზე მოფიქრალი უფრო დიდი პატრიოტი, მე, არ მეგულება. მისი მთელი შემოქმედება სამშობლოსადმი სიყვარული და იმ ხალხისადმი სიძულვილია, ვისაც თავისი ერი და ქვეყანა არ უყვარს. კაცი რომ დაიბადება, მისი მოწყვეტა მშობლიური ფესვებიდან მისსავე სიკვდილს ნიშნავს. ეს, რატომღაც დავივიწყეთ. ახლა, გლობალიზაციის ეპოქა მოდის. ეს არის წარღვნა — არამარტო პატარა ერების განადგურებას ცდილობენ, არამედ ყველა იმ ერისა, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს თავისი კულტურა, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, ღირებულებები და სხვა. გლობალიზაციის ეპოქაში ერს ერთ დიდ ქვაბში ხარშავენ, ცდილობენ ყველას ერთნაირი აზროვნება ჩაუნერგონ. ცხოვრებას, აი, ამ სტანდარტით გვაიძულებენ. ყოველივე შემდეგ მიზანს ემსახურება: ადამიანი, საერთოდ, გადაგვარდეს, რობოტად იქცეს და რასაც უკარნახებენ ის აკეთოს. მეტიც, კორონა ვირუსის გავრცელება არავითარი ვირთხებისა თუ ღამურებისგან არ მომხდარა, არამედ ეს ადამიანის ქმნილია. უფრო მეტი განსაცდელი გველის იმიტომ, რომ უფალი დავივიწყეთ, სიყვარული გაგვიქრა. აუცილებელი არ არის კაცი ეკლესიაში დადიოდეს. ეკლესია შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის. აქვე, მუხრანი მახსენდება: „ჩემი სამშობლო მაღალია! — სხვისია ვრცელი!.. უფალთან ახლოს, — ამიტომაც, — უფროა ჩემი!“ დიახ, ჩვენ, უფალთან დაახლოებული ერი ვართ და სწორედ ეს აღიზიანებთ ერის მოძულეთ. ჩვენ, იმ სამყაროს მცირე ერი ვარ, რომელმაც წინარე ევროპის ცივილიზაცია შექმნა, საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა და თავი აქამდე მოიტანა. კაცი ვარდის მოსაწყვეტად რომ მიდის და ფეხებზე ეკალ-ბარდი ედება, აი, ასეთი ეკალია ჩვენი ქართული სახელმწიფო მათთვის. ახლა, ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნებმა არ მითხრან: თქვენი მეგობრები და დამცველები ვართო. პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, არც მფარველები. ახლა, რუსეთს ლანძღავენ. მე, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის მომხრე არ ვარ. რუსეთს რომ ვკიცხავდი, მაშინ ისინი ტაშს უკრავდნენ და ერთ ადგილს ულოკავდნენ. ადრე, როცა „ამერიკის თავისუფლების ხმას“ ვუსმენდი, მწამდა, რომ ამერიკა დემოკრატიის სამშობლო გახლდათ, სადაც თავისუფლება, ადამიანის ღირსება დაცული იყო. ამის შესახებ „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე, რამაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია. კომუნისტებიც კი მიხვდნენ, რომ ეს საჭირო იყო. აკრძალული ხილი ყველას უფრო იზიდავს. ახლა კი, დიდი დარტყმა მივიღე — გნებავთ მორალური, გნებავთ ზნეობრივი. დღეს, მიმტკიცებენ: ამერიკა ჩვენი მხსნელი და მშველელიაო. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენ, განათლებული ხალხი ვართ, რაღაცები ვიცით, წაგვიკითხავს. ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი შემდეგი გახლავთ: ერთპიროვნული მსოფლიო უნდა შეიქმნას, სადაც წამყვანი თვითონ აშშ უნდა იყოს, ხოლო ქვეყნები, რომელთაც საკუთარი ხედვა აქვთ უნდა გაუჩინარდნენ და მოისპონ. ეს არის ჭეშმარიტება, რასაც ვერ შეცვლით. დღეს არსებობს ორი დაპირისპირებული ბანაკი — ამერიკა, იგივე, ევროპა, რომელიც აშშ-მ დაიმორჩილა. ევროპას თავის უბედურება სჭირს. წაიკითხონ პატრიკ ბიუკეკენის „დასავლეთის სიკვდილი“ და ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაცემა“ და ნახონ როგორ გაუბედურდა ევროპა და როგორ იქცა დეკულტურიზაციის ანუ, უკულტურობის ქვეყნად. მეორე მხარესაა — ჩინეთი, რუსეთი და სხვა. ეს გახლავთ აქლემების ჭიდაობა, რა დროსაც უეჭველად იჭყლიტება კოზაკი. ეს კოზაკი საქართველოა. მე, ასეთი განცდა მაქვს.



**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უპირველესი პრობლემა ისაა, რომ ქართველებმა საერთო ენა, განცდა დავკარგეთ. განა ვარსებობთ, ქართველი ქართველს ვეღარ ვენდობით — ამბობს ილია. დღეს, კაცური კაცის ცნება დაიკარგა და საუბედუროდ, ქვეყანაში თავი ქონდრისკაცებმა წამოსწიეს. ეს არის ზოგადი სურათი, რეალობა. 2010 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი — „ვაჰმე, ჩემო მამულო!..“. იქ, წერია იმ ყველაფრის შესახებ, რაც დღეს ხდება. თქვენ, მეკითხებით: როგორ გადავარჩინოთ სამშობლო? — სანამ პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ არსებობს, საქართველოს არაფერი ეშველება. რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენ ხომ ბნელები არ ვართ და მშვენივრად ვიცით რასაც სჩადიოდნენ წლების მანძილზე, რა იყო მათი მთავარი მიზანი: ადამიანების დაშინება, ხოცვა, წამება.





ისინი არაადამიანური წამების დიდოსტატები არიან. ცოტა ხნის წინ, ირმა ინაშვილმა თავის გადაცემაში აჩვენა მათი „საქმენი საგმირონი“. ნაძირალა „ნაცები“ აუპატიურებდნენ კაცებს. ეს ხომ საშინელებაა. ვინმეს უნდა დამაჯეროს, რომ ამის შესახებ ამერიკამ არ იცის?! —მგონია, რომ ჩვენზე მეტად იცის რა ძალაა „ნაცმოძრაობა“! ან ევროპამ არ იცის ვინ არიან „ნაცები“? — ვფიქრობ, მანაც ჩვენზე უკეთ იცის მათ შესახებ! მაშინ, რა ხდება?! თუ არ იციან, ჩვენ ვაჩვენოთ კადრები, თუ რა ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის დროს. ამ დროს, ევროპამ მიშიკო „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხა. ქვეყანას რომელიც მიხეილ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურად“ გამოაცხადებს, განა, შეიძლება, ელემენტარული კავშირი ჰქონდეს დემოკრატიასთან? მიხეილ სააკაშვილი ეს გახლავთ მხდალი, დესპოტი, კალიგულა. ოღონდ, კალიგულა დიდი მასშტაბის იყო. მიშა სწორედ ის კალიგულა გახლავთ, რომელიც თავის ერს სპობს. „ნაცებს“ ისეთ რაღაცები აქვთ გაკეთებული, რაც ფაშისტებსაც არ მოუვიდოდათ თავში აზრად. ეს ნაძირლები შვილისა და მეუღლის წინაშე კაცს აუპატიურებდნენ. გამაუპატიურებელმა ვერ შეძლო და ვიაგრა დაალევინეს. ფაშისტები ხალხს ეუბნებოდნენ: აბანოში მიგვყავხართო და მერე, გაზით გუდავდნენ. ასე, ფაშისტებიც კი არ აწამებდნენ. ამიტომ, „ნაციონალები“ ფაშისტებზე ბევრად უარესები არიან. **სხვათა შორის,** 2012 **წელს პარლამენტმა გამოიტანა დადგენილება, სადაც „ნაცების“ მოღვაწეობა დაგმო და ცალსახად თქვა: მათ არ აქვთ უფლება არცერთ პოლიტიკურ სივრცეში ადგილის დაკავებისო. სად გაქრა ეს დადგენილება?!** 6 ათასამდე კაცი დაკითხეს, 80 დაჭერილიაო — ამბობდნენ. ადამიანების წამების პროცესი სააკაშვილის მიერ იმართებოდა. კალიგულა ადამიანებს აშიშვლებდა, ტანისამოსს ანაკუწებდა, მერე ნესტოებსა და პირში ტენიდა, ასე გუდავდა და ამით უდიდეს სიამოვნებას ღებულობდა. ასევე, სიამოვნებას ჰგვრიდა ამ არაკაცს, იდიოტ სააკაშვილს ადამიანების წამების კადრების ყურება. ახლა, ვაჟკაცი ჰგონია თავი, სინამდვილეში კი, მხდალი, ლაჩარია. იგიც, კალიგულას მსგავსად, ადამიანების წამებით კმაყოფილდებოდა. მისი ბანდის წევრებიც სწორედ მისნაირები იყვნენ. დღეს რა ხდება? — დასავლეთი გვაიძულებს: ამათ კი არ ვებრძოლოთ, არამედ მოვეფეროთ, დავუყვავოთ. პირველ ეტაპად კოაბიტაცია შემოგვთავაზეს. ბიძინა ივანიშვილი მათ წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. იგი, უდიდესი ქველმოქმედი, პიროვნებაა. არავინ დამიწყოს, ახლა, საწინააღმდეგოს მტკიცება. ეს სინდის-ნამუსისგან გარეცხილები რა სისულელეებს აღარ ბოდავენ და აბრალებენ. ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილს ვერასდროს მოვიშორებდით. დღეს, ივანიშვილი წავიდა და თავისი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ამ უმადურ ქვეყანას დაუტოვა. „ნაცები“ არჩევნებზე ავტომატებითა და ფულით სავსე ტომრებით დარბოდნენ და ახლა, გაყალბებაზე რა ნამუსით ლაპარაკობენ?! ამერიკამ „ნაცებთან“ კოაბიტაცია დაგვავალა. უსუფაშვილი გამობრძანდა და განაცხადა: ჩვენი მთავარი მიზანია „ნაცების“ შენარჩუნებაო. თითქოს, ეს არ კმაროდა და ახლა, დასავლეთმა „ნაცებთან“ საკოაბიტაციოდ ახალი ტერმინი შემოგვთავაზა — კომპრომისის მეორე საფეხურზე გადადითო.

**— დღეს, დასავლეთის სახელით ხდება კრიმინალების შეწყალება, ამნისტიის კანონზე მუშაობა და სხვა...**

— დიახ, შარლ მიშელი ჩამოდის და გოგოლის რევიზორივით გვიტევს — ეს, ასე უნდა მოხდეს, ის — ისეო. მერე რა, რომ ევროსაბჭოს პრეზიდენტია, თუ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, რა უფლება აქვს ჩამოვიდეს და აქ, გეგმა დამიწეროს: პარლამენტმა რა უნდა გააკეთოს. ეს რას ნიშნავს? — რას და ჩვენი ერის უგულვებელყოფას, ჩვენი სახელმწიფოს უარყოფას. ვინც დააშავა, ის უნდა დაისაჯოს! ეს კომპრომისის მეორე ეტაპი რაღაა? სიყვარულს და თანაარსებობას, ჩვენ, ევროპელები ვერ გვასწავლიან, მაგრამ მე არ შემიძლია გველებთან კომპრომისი, ზოგადად, ურთიერთობა. დიახ, „ნა-

4 გვ. →

# რა უნდათ „ნაციონალებს“ პარლამენტში?





← 7 გვ.

ცები“ არიან გველები, რომლებიც კანს იცვლიან, მაგრამ ბუნებას — არა. მათ საქართველო ეზიზღებათ და მის მოსპობას ცდილობენ. რა გეგმა დაგვიტოვა შარლ მიშელმა? — ნახევარზე მეტი უფლებები „ნაცებისთვის“ უნდა გადაგვეცა. დღევანდელი ჩვენი პრეზიდენტიც, იძულებული გახდა მიშელს დამორჩილებოდა. მართალია, ვეტო არ გამოიყენა, მაგრამ „ნაცებთან“ უნდა ისაუბროთო, დამოძღვრა მმართველი ძალა. რა უნდა ვისაუბროთ? — როცა უნდათ მაშინ შედიან და გამოდიან პარლამენტში. მოდით, სათითაოდ ჩამოვთვალოთ, ვინ არიან ესენი: ბოკერია და მისი ცოლი არიან ადამიანები? მათ პოლიტიკასთან რა კავშირი აქვთ? ბოკერია გახლავთ ის კაცი, რომელიც ციხეში პატიმრებს ავტომატით ახოცინებდა. უგულავა ციხიდან ორჯერ გამოუშვეს, 50 მილიონი წაიღო და 2 მილიონი დაადებინეს. ახლა, დადის და თავი განათლებულად მოაქვს ამ „კმარას“ მიერ გაზრდილ მასხარას, წიგნი არ აქვს წაკითხული. ავიღოთ, „გირჩი“. რა უნდათ მათ პარლამენტში? ისინი სექტანტები არიან. დიდი დანაშაულია რასაც აკეთებენ — ბავშვებში მარიხუანას ავრცელებენ, ალბათ, მალე მორფის ლეგალიზებასაც მოითხოვენ. ეს დამანგრეველია. ხაზარაძე ვინ არის? — გვარით ხაზართა შთამომავალია. აი, ვინ გაღლიტა ქართველი ხალხი. 60 მილიონზე მეტი მიითვისეს და ვითომ, არაფერი. რა პოლიტიკაზე მელაპარაკებით, თქვე, მასხრებო თქვენა, მხოლოდ საკუთარი დანაშაულის გაქარწყლებაზე რომ ფიქრობთ! არ გამოგივათ! ჟამი მოდის, როცა ქართველი ხალხის მიერ საჯაროდ გასამართლდებით. ნათელაშვილის კარავში შეკრებილ ოპოზიციაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. ერთ-ერთმა მისმა თანამებრძოლმა (დღესაც ერთად არიან) მითხრა: თქვენ, არ იცით, ნათელაშვილის თითო გამოსვლა 5 ათასი დოლარი გვიჯდებაო. აი, ეს არის ნათელაშვილი, რაღაც სისულელეებს ბოდავს. 10 წელი ვუყურებდით „ნაცებს“ და ხმას ვერ ვიღებდით. მე, სულ ვიმაღლებდი ხმას, წიგნებიც კი დავწერე. მათ კიდევ ვეხვეწოთ: პარლამენტში მობრძანდითო? თურმე, ოპოზიცია თუ არ შევა, ერთპარტიული პარლამენტს მივიღებთო. ასეთი პარლამენტი სწორედაც რომ მისაღებია, როცა იგი სამშობლოსთვის იბრძვის. „ნაცები“ ვინ არიან? — მტრები. ისინი ყველანი სულით და ხორცით პოლიტიკური პრასტიტუტკები, კახპები არიან. არ შეიძლება ხელისუფლებამ მათ კუდი უქიცინოს. ირაკლი ღარიბაშვილის იმედი მაქვს, რომელმაც თავის დროზევე წინ ეროვნული ცნობიერება წამოსწია და თქვა: ქართული ოჯახი უნდა იყოს ქალი და კაცი, „ნაცებთან“ საუბარი არ შეიძლება, ქართული განათლება დიდგორიდან უნდა დაიწყოს. კიდევ, რამდენიმე კაცის იმედი მაქვს, რომლებიც ევროპასაც კარგად იცნობენ, მაგრამ სამშობლო უყვართ. ილია ამბობს: ერი ბრძენი მაშინ არის, როცა ამა თუ იმ საქციელს გონებით სჯის. თუკი, ეს შენ ქვეყანას გამოადგება აითვისე, გაითავისე, დანარჩენი უკუაგდეო. ამ სიბრძნით უნდა მოქმედებდეს დღევანდელი პარლამენტი და პრიორიტეტი არ უნდა იყოს ევროპამ რა თქვა. ეს გეგმა თავს მოგვახვიეს ევროპარლამენტის დეპუტატებმა — „სახალხო პარტიამ“, რომელიც „ნაცებთან“ კუდით არის გადაბმული და დაგვემუქრნენ კიდეც: ჩვენი მითითებები შეასრულეთ, თორემ, სანქციებს დაგიწესებთო. დღეს თუ ვინმეს სჭირდება საქართველო როგორც ტერიტორია, ეს ევროპაა. სწორედ, აქ, შეუძლია მას ფეხის მოკიდება. ამაზე არაფერს ამბობენ, სამაგიეროდ აღნიშნავენ, რომ თურმე, დემოკრატიულად უნდა გაგვზარდონ. წაიკითხონ დემოკრატია რა არის. დემოკრატია ადამიანის თავისუფლებაა, რომელიც სიმართლისთვის იღწვის. გავიხსენოთ, სააკაშვილის ფერადი რევოლუცია ვინ მოაწყო? — კი, რუსეთსაც აწყობდა რომ შევარდნაძე წასულიყო, მაგრამ კოაბიტაცია ვინ შემოგვთავაზა? რუსების ტანკი აგერ, 20 კილომეტრში დადის და როცა უნდა შემობრუნდება და დაგვცხებს. ვინმე გვიცავს? ვინ დაგვიცვა, როცა ამ სულელურ ომში ჩავებით? — იდიოტმა სააკაშვილმა ცეკვა-თამაში გამართა. ტერიტორიები დავკარგეთ და თურმე, ეს, ქვა-ღორღი ყოფილა.

**— ევროპარლამენტმა მელიას გირაოს თანხა გადაუხადა. ეს რას ნიშნავს?**

— ეს მელია-კუდიგრძელია არ გაგვიხადეს მნიშვნელოვანი პერსონა. ვინ არის მელია? — ერთი, ასეთი იგავი არსებობს: მშიერი მელა ტყეში დაცუნცულებს. აღმოაჩენს დოლს, რომელსაც ქარის დაბერვისას ხის ტოტები ეხება და დიდ ხმას გამოსცემს. მელამ იფიქრა: რაღა ქათამი ვჭამო, აგერ, დიდი დოლია და საკვებით სავსე იქნებაო, დაკრა ხელი გახია და ცარიელი აღმოჩნდა. დასკვნა: ყველაფერი რაც დიდია და დიდ ხმას გამოსცემს, სარგებლობის მომტანი არ არის, არარაობაა. არარაობაა ნიკანორ მელიაც. აი, ეს იგავი უხდება „ნაცების“ პარტიის ბელადს — მელიას. ის გახლავთ ბრიყვი კაცი. რა აღარ ჩაიდინა, როგორი შეურაცხყოფა მიაყენა ყველა ქართველს, ისროლა სამაჯური და ვერ დამიჭერთო, მერე, გირაოს არ გადავიხდიო, ახლა, გარეთ არ გამოვალო და არის ერთი ამბავი. ახლა, შარლ მიშელმა გირაო გადაუხადა. კარგით რა, ეს ხომ ტაკიმასხრობა, ცირკია. დავიღალეთ, ამის ყურებით. გინდ ციხეში, გინდ გარეთ ეგდოს, რას წარმოადგენს. დიდმა მიხომ — მთავარმა ბელადმა და ბრძენმა ბრძანება გასცა: სანამ მელია ციხიდან არ გამოვა, პარლამენტში არ შეხვიდეთო. ვიმეორებ, რა უნდათ „ნაცებს“ პარლამენტში? ისინი ფაშისტები არიან. მმართველი ძალა აცხადებს: მოგებული ის დარჩება, ვინც დათმობსო. ვის უთმობთ, რატომ უთმენთ? თქვენ, „ნაცებს“ უთმენთ თუ ევროპას? — ხომ არ გავიწყდებათ: ქართველმა ხალხმა იმიტომ აგირჩიათ, ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ამ ნაძირლებს მიაბრძანებთ ქვეყნიდან თუ არა, პოლიტიკაში ყოფნას მაინც აუკრძალავთ. დღეს, ქვეყანაში, ზოგადად, რთული მდგომარეობაა. აგერ, მთელი აჭარა გათურქებულია. ეკონომიკით გვიპყრობენ, რასაც ილია უფრთხოდა. ამერიკამ მთელი მსოფლიო დოლარით დაიპყრო. მსოფლიო ფინანსურ სისტემას ეს ფული წარმართავს. გადავხედოთ, როგორ იცავენ საკუთარ თავს, ღირსებას ჩვენი მეზობლები — აზერბაიჯანი, სომხეთი. სომხებმა ამერიკა სამჯერ გააბუნძულეს. აზერბაიჯანმა კი პირდაპირ პანღური ჰკრა და ისე გააგდო. აქ, რა ხდება? — ამერიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ლომჯარია რომელმაც პამადის წასმა არ იცოდა, ახლა, თმის ვარცხნა დაიწყო, არადა, „თხა და გიგო“ არ აქვს წაკითხული და საქართველო ეზიზღება, ადამიანის უფლებათა დამცველი გახადა. ამ უტვინო ბატს — ლომჯარიას ქართველი ხალხი ეზიზღება და ვინ უნდა დაიცვას?! ეს ყველაფერი სირცხვილია. დღესაც, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ. იქ, არის ხალხი, ვისაც სამშობლო უყვარს. კობახიძე პრინციპული გამოდგა. პატივს მივაგებ, ასევე, წულუკიანს. გახარიას რაც შეეხება, პატიოსანი კაცი მეგონა, ამბობდა: მაშინ წავალ, როცა „ნაცებს“ დავასრულებო და უცებ, საეჭვო ვითარებაში პოსტი დატოვა. მან თქვა: ჩვენ, ევროპულ სახელმწიფოს ვავითარებთო. საქართველო ევროპული კი არა, ქართული სახელმწიფოა. პარლამენტარებს ვურჩევ: იმას კი ნუ უგდებენ ყურს, ამერიკა და ევროპა რას იტყვის, თავის გულს მოუსმინონ. ამერიკა არასდროს გვეტყვის ჩვენთვის სასიკეთო რამეს. ასე რომ იყოს, პირველ რიგში, გვეტყოდნენ: „ნაცები“ პოლიტიკიდან მოაშორეთო. ისინი კი პირიქით, გვეუბნებიან: „ნაცებს“ დაუთმეთო. ათი წელი ხომ ვუყურეთ როგორ „აჯანსაღებდა“ ეს ოპოზიცია ქართულ აზროვნებას? ეს გახლდათ თავის მოჭრა. მათ ქართული სახელმწიფო არ აინტერესებთ. მიშას მიერ ქვეყნიდან გაზიდული ფულით ფინანსდებიან. მიშიკოს მინდა ვუთხრა: 20 კაცის გარდა, აქ, პატივს არავინ გცემს. ეს გახლავთ აქტივისტები, ვინც მხარს ფულის გამო უჭერს. ხალხის მეორე ნაწილს წარმოდგენა არ აქვს რა ხდება, მესამე ნაწილი კი გახლავთ კერპთაყვანისმცემლები, რომელთაც მიშა ღმერთი ჰგონიათ. ისე აშენდა მათი ოჯახი. სამწუხაროდ, ახალმა თაობამ არ იცის, რა აქვთ „ნაცებს“ ჩადენილი. მიშას ტელევიზიებიდან ქება-დიდება მიდის. ამ არხებს, საერთოდ, არ ვუყურებ, მხოლოდ „პოს-ტვ“-ს და „იმედს“ ვუყურებ. ამიტომ, ამ ტელევიზიებმა კეთილი ინებონ და მათ მაინც აჩვენონ: რას ჩადიოდნენ „ნაცები“. თავი მოგვეჭრებაო — ამბობენ. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხს არ ეცოდინება რას წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობა“ სინამდვილეში. ესენი პარლამენტში რომ არიან აი, თავი სწორედ მაშინ გვეჭრება. ის რაც მათ ჩაიდინეს თავის მოსაჭრელი კი არ არის, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულია, რის მიხედვითაც უნდა გასამართლდნენ სათითაოდ და ასე, გვეშველება. „მთავარი“ და „ტვ-პირველი“ საქართველოს მტრები არიან. ასეთი ტელევიზიები სხვა ქვეყნებში, აკრძალულია ან ისეთ ჯარიმებს ადებენ, რომ ველარ იხდიან და იხურებიან. ისინი სიტყვით გვკლავენ. ეს, განა ნაკლები დანაშაულია? ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები — გიგაური და სხვები, რომლებიც ფულზე საკუთარ შვილებს, სხეულს ჰყიდიან. გაიძახიან: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ავტორიტეტული ორგანიზაციააო. ეს არის ნაძირალა სოროსის კერა, საიდანაც ყველაზე გათახსირებული ხალხი გამოიჩეკა დაწყებული ხიდაშელიდან დამთავრებული სხვა ნებისმიერით. ისინი უნდა მოხიკო, ერთ კუნჭულში მიჰყარო და იქ, ილაქლაქონ. ჩვენ, ისეთი მთავრობა გვინდა, ვინც ქართველ ხალხზე იფიქრებს. დღეს, უღირსი ქართველები ვართ, რომელთაც საკუთარი სამშობლო ვერ დაგვიცავს.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რატომ მიერეკებიან საქართველოს მეორედ კოჰაბიტაციის გამოქვაბულში?



ნიკა მელია ციხიდან გამოვიდა, მაგრამ, გული მიგრძნობს, „ნაცმოძრაობა“ მაინც გატეხს სიტყვას და პარლამენტში არ შევა.

ასე რომ, ეს 40 000 ლარი, რომელიც ევროპარლამენტმა „პოლიტპატიმარ“ მელიას გამოსახსნელად გადაიხადა, შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.

ჩვენი აზრით, მელიასთვის გირაოს გადახდა ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპარლამენტი პირველად არ უშვებს შეცდომას საქართველოსთან მიმართებაში.

პირველი შეცდომა, ეს იყო კოაბიტაცია, რომელიც, მართალია, „ქართულ ოცნებას“ კი ბრალდება, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იყო გარედან თავსმოხვეული, იძულებითი ღონისძიება.

აი, ამ მთავარი შეცდომის ნაყოფს იმკის დღეს საქართველო და იმკის დასავლეთიც.

შარლ მიშელის დოკუმენტი, ფაქტობრივად, კოაბიტაციის მეორე ეტაპის მოსამზადებელი პერიოდის უზრუნველსაყოფად შექმნილი დოკუმენტია, რომლის ყველა პუნქტი უნდა შესრულდეს, მათ შორის ის პუნქტიც, რომლითაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, დიდი ალბათობით, აუცილებლად მოგვიწევს.

მხედველობაში გვაქვს სავალდებულო ნორმა, 43%, რომელიც აუცილებლად უნდა გადალახოს „ქართულმა ოცნებამ“, თუ არადა, ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს.



ყველა პარამეტრით უსამართლო და დისკრიმინაციულია ეს მოთხოვნა, მაგრამ რას იზამ, კოაბიტაცია მსხვერპლს მოითხოვს.

კოაბიტაცია ფრანგული სიტყვაა და თანაცხოვრებას, თანაარსებობას ნიშნავს.

ის საფრანგეთში გამოყენებული იქნა მაშინ, როცა სპეციფიკური ფრანგული საარჩევნო სისტემის გამო ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის საფრთხე შეიქმნა და გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა კოაბიტაციით დაბალანსდა, თუმცა გაუგებარია, რატომ იქნა ის გამოყენებული საქართველოში, როცა ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა.

კოაბიტაცია თანაცხოვრებას კი ნიშნავს, მაგრამ არა კრიმინალურ ძალასთან იძულებით თანაცხოვრებას და თანაარსებობას, როგორც ეს ჩვენთან მოხდა.

საქართველოში კოაბიტაციის ავტორებს, ჩვენს დასავლეთელ მეგობრებს და პარტნიორებს, „გამოეპარათ“, რომ „ნაცმოძრაობა“, რომელმაც 2012 წელს არჩევნებში მარცხი განიცადა, ჩვეულებრივი პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ იყო, არამედ ის გახლდათ კრიმინალურ-ფაშისტური ძალა, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში უამრავი შემზარავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე.

მარტივი სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, „ნაცმოძრაობის“ დროს ქვეყანაში 25 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი იყო, ამ ციფრს თუ დავუმატებთ იმ ადამიანების ოჯახის წევრებს, რომლებიც უდანაშაულოდ დაიჩაგრნენ და დაზარალდნენ „ნაცმოძრაობის“ მიერ გატარებული რეპრესიული პოლიტიკის გამო, გამოდის, რომ, ყველაზე ნაკლები, მილიონამდე ადამიანისთვის „ნაცმოძრაობა“ კატეგორიულად მიუღებელი, მტრული ძალაა, რომელსაც ეს ადამიანები არასოდეს შეურიგდებიან და არასოდეს აპატიებენ იმ ტკივილს, რაც მათ „ნაცმოძრაობამ“ მიაყენა.

ადამიანთა ამ რაოდენობას დაუმატეთ საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც მენტალურად, მორალურად, ზნეობრივად მიუღებელია ძალადობაზე დამყარებული ისეთი ხელისუფლება, როგორიც „ნაცმოძრაობაა“ და მიიღებთ მოსახლეობის 60–70 პროცენტს.

მართალია, ნაცების ბელადი ურცხვად კი იძახის, გასაგიჟებელი მხარდაჭერა მაქვსო, მაგრამ, რეალურად, ეს მხარდაჭერა 7–10%-ს არ აღემატება.

ყოველივე ამის შემდეგ საკითხავი არ არის, საიდან და როგორ იღებს არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ 500 000-მდე ხმას, როცა აქციებზე და მიტინგებზე 5–10 ათასზე მეტ ადამიანს ვერ აგროვებს?

ვინ ატარებს არჩევნებს საქართველოში, უფრო ზუსტად, ვინ ადგენს გამარჯვებულთა საბოლოო სიას? — ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა არც ისე იოლია...

როგორც უკვე ვთქვით, შარლ მიშელის დოკუმენტი კოაბიტაციის მეორე, დამაგვირგვინებელი ეტაპის მოსამზადებელი დოკუმენტია.

მოუტანს კი ეს დოკუმენტი საქართველოს მშვიდობას და სტაბილურობას?

ძალიან საეჭვოა, რადგან ხელოვნურად, ძალდატანებით, იძულებით, შეუძლებელია დაამკვიდრო თანაარსებობის, თანაცხოვრების ატმოსფერო, სადაც ადამიანები გუშინდელ ჯალათს და მწამებელს უცებ შეიყვარებენ და გულში ჩაიკრავენ.

ვერ მოხერხდა ამის გაკეთება ცხრა წლის განმაბლობაში და ვერც ამის შემდეგ მოხერხდება.

როგორი კეთილშობილური განზრახვებიც უნდა ამოძრავებდეს დასავლეთს, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების როგორი ჰუმანური სურვილებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი მისი მოქმედებები, ის, რაც არ ეფუძნება სამართლიანობას და კანონის უზენაესობას, ვერასოდეს გახდება მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი.

კოაბიტაციის ის ფორმა, რომელიც საქართველოს შესთავაზეს, იგივეა, ცეცხლზე თივა დააფინო და ამით შეეცადო, ცეცხლი დაფარო და დამალო.

დასავლეთი კოაბიტაციის თავსმოხვევით კი არ უნდა „დახმარებოდა“ საქართველოს, სამართლიანობის აღდგენაში, „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების ობიექტურად გამოძიებაში, დამნაშავეთა დასჯაში და, საერთოდ, ამ კოშმარული ცხრაწლიანი პერიოდის ზუსტ ანალიზში და მომხდარის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებაში უნდა შეშველებოდა ქვეყანას, რომ წინ წასვლა და განვითარება შეგვძლებოდა.

ამის ნაცვლად ისევ კოაბიტაციის გამოქვაბულში გვიპირებთ შერეკვას, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან და 43-პროცენტიან ბარიერს გვიწესებთ იმ იმედით, რომ ამ ბარიერს ვერ გადავლახავთ, რითაც „ნაცმოძრაობის“ ხუშტურებს შეასრულებთ, რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავთ, რომ იმ რიგგარეშე არჩევნებში როგორმე „ნაცმოძრაობამ“ მოიპოვოს უპირატესობა და კვლავ ხელისუფლებაში მობრუნდეს.

ეს არის ის დიადი და ნათელი მიზანი, რისკენაც საქართველო უნდა ისწრაფვოდეს?

ბოლოს კი იმის შესახებ, თუ რატომ არ შეუერთდება შარლ მიშელის დოკუმენტს და რატომ არ შევა „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ წამოყენებული თითქმის ყველა ულტიმატუმი შესრულდა.

„ნაცმოძრაობა“ სულ მალე ახალ ულტიმატუმს წამოაყენებს — მიეცეს საქართველოში დაბრუნების უფლება საქართველოდან უსამართლოდ განდევნილ მიხეილ სააკაშვილს — კაცს აღმაშენებელს, კაცს უმწიკვლოს და უცოდველს, კაცს ღვთისმოსავს და ღვთისმოშიშს (რომლის ცთუნებას სატანა ბოკერია ცდილობდა ხოლმე, მაგრამ ამაოდ), კაცს, რომელსაც თვითონ ჭიანჭველასთვისაც კი არ დაუდგამს ფეხი (ადამიანებს მისი სადისტი ქვეშევრდომები აწამებდნენ და კლავდნენ მისგან დაუკითხავად), კაცს, რომელიც დედამისის ხელფასზე ცხოვრობდა და ცხოვრობს დღემდე (მილიონებს და მილიარდებს მისი ხელქვეითები იპარავდნენ, მაგრამ მას კაპიკს არ აძლევდნენ), კაცს, ერომელმაც რუსეთს ომი მოუგო და 12 აგვისტოს თავისუფლების მოედანზე გამარჯვება ტრიუმფალური ზეიმით აღნიშნა (საქართველოს ტერიტორიის 20% მისმა უნიათო ჯარისკაცებმა და მოღალატე ოფიცრებმა დაკარგეს), კაცს, რომელსაც არც „იმედი“ დაურბევია, არც 7 ნოემბრის, არც მაისის სასაკლაოები არ მოუწყვია (ამას მერაბიშვილი აკეთებდა მისგან მალულად). აი, ამისთანა სანთელივით კაცი რატომ უნდა იტანჯებოდეს უცხოობაში, რატომ უნდა ხდებოდეს სიღარიბეში და ყარიბობაში სული?

მას უნდა მიეცეს სამშობლოში დაბრუნების და პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის უფლება და ეს უნდა მოხდეს თვითმმართველობის არჩევნებამდე! — აი, ამ მოთხოვნებს წამოაყენებს ახლო ხანებში „ნაცმოძრაობა“ და თბილისის ქუჩებს კვლავ წალეკავს დაქირავებული „აქტივისტების“ ყურისწამღები ჭყვიტინი: მიშა! მიშა! მიშა!

და რას იზამს მაშინ საქართველოს პარლამენტზე იერიშების სარდლისა და ორგანიზატორის ნიკა მელიასთვის გირაოს გადამხდელი, ჟორიკა რურუასთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მიმნიჭებელი ევროპარლამენტი თუ ევროსაბჭო — ოღონდ ნუ იქნება „ბუნტი“ და ჩამოვიდესო, იტყვის?!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, იტყვის!

იტყვის და, აი, მაშინ ნახეთ თქვენ შეურაცხყოფილი, აბუჩად აგდებული, სულში ჩაფურთხებული ქართველი ხალხის „ბუნტი“.

ეს გინდათ, ბატონებო?

კი, მაგრამ, ერთი ჩვენი დიდი მეზობლის გარდა, ვის რა ხეირი ამით?

„ნაცმოძრაობა“ აქამდე საქართველოს და ქართველ ხალხს თუ აშანტაჟებდა, ახლა უკვე დასავლეთსაც აშანტაჟებს.

ის იქცევა, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც დესტაბილიზაციით, ნგრევით და პარტახით იმუქრება, თუ ყველა მისი მოთხოვნა არ შესრულდება.

არ ვიცი, სადამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს, ან რით შეიძლება დასრულდეს, მაგრამ ერთი რამ ვიცი: თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მივაღწიეთ, ყველა ძალა, შიგნით თუ გარეთ, იმაზე იმუშავებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43% ვერ აიღოს, რადგან ასე სურს ოპოზიციას, ასე სურს „ნაცმოძრაობას“ და მის ატამანს და, როგორც ჩანს, ასე სურს დასავლეთსაც.

მრავალპარტიული პარლამენტი და, რაც მთავარია, კოალიციური მთავრობა — ეტყობა, ეს არის მთავარი მიზანი.

როგორ ცუდად სცნობია საქართველო და ქართველები მას, ვისაც ჰგონია, რომ საქართველოში კოალიციური მთავრობა ეფექტურად იმუშავებს.

დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ მაინც წააკითხეთ ამ ჩვენს კეთილისმყოფელებს, იქნებ, გადაიფიქრონ, სანამ ერთი პარტიის აღმა ხნულს მეორე დაბლა დაუწყებს ფარცხვას და სანამ ორივე ქვეყანასაც ზედ არ მიახნავს.

ღმერთო, დამიფარე ჩემი მეგობრებისგან, თორემ ჩემს მტრებს მე თვითონ მოვუვლი, — არ ვიცი, რატომ გამახსენდა ეს ფრთიანი გამონათქვამი ამ წერილის წერისას, მაგრამ გამახსენდა და დავწერე...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# „მხედრიონში“ ძველი ცოდვების გარჩევის საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა



## ვინ არის თემურ ხაჩიშვილი და ვის უთხრა გია ყარყარაშვილმა: შენ ხარ ის კაცი, თბილისში ხალხს რომ ხოცავს?

საქართველოში 90-იან წლებში მოქმედი შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ ერთ-ერთ ლიდერზე და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრზე თემურ ხაჩიშვილზე უცნობმა პირებმა თავდასხმა სცადეს, იუწყებოდა ქართული მასმედია. ხაჩიშვილის ადვოკატის თქმით, პარტია „ცენტრისტების“ დამფუძნებელს უცნობმა პირებმა იმ დროს მიაკითხეს, როდესაც ის მეგობრის ოფისში იმ-





ყოფებოდა. ტელეკომპანია „მთავარის“ ინფორმაციით, ერთ-ერთ თავდამსხმელში ხაჩიშვილმა 1993 წელს მოკლული ყოფილი „მხედრიონელის“ ზაზა ვეფხვაძის შვილი ამოიცნო. “10–12 უცნობი ადამიანი ოფისში მოვიდნენ. დააკაკუნა ერთმა, იკითხა თემური შენ ხარ თუ არაო და შეჭრა დააპირეს. არ შეუშვეს ესენი, ჩაკეტეს კარი, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში შესვლის და შეჭრის მცდელობა იყო. უნდა გაარკვიოს გამოძიებამ, რა მიზნით იყო ეს ხალხი მისული, რა იყო მოტივი, ვისი დავალებით მოქმედებდნენ, ამაზე უნდა გასცეს გამოძიებამ პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვბრუნდებით 90-იან წლებში”, — განაცხადა ხაჩიშვილის ადვოკატმა, რომელმაც სავარაუდოდ არ იცის, რომ ოთხმოცდაათიანი წლების შემომქმედნი, რომლებმაც „თანამებრძოლების“, პოლიტიკოსების, მოწინააღმდეგეების სისხლი დაღვარეს და სამუდამოდ დაადუმეს, არც არსად წასულან.

„პირველების“ ინფორმაციით, მხედრიონის ყოფილ ლიდერს, თემურ ხაჩიშვილს თავდასხმის მცდელობამდე ცოტა ხნით ადრე გიორგი რურუას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. ირკვევა, რომ შს ყოფილ მინისტრს, მოკლული თანამოაზრის შვილმა საქმის გარჩევის დროს წერილი გადასცა. ხაჩიშვილის თქმით, წერილის ავტორი გია ყარყარაშვილი იყო, რომელიც მისგან მოითხოვდა, რომ რურუა 90-იან წლებში მომხდარი თავდასხმის ორგანიზატორად დაესახელებინა. დარწმუნებულია, რომ ეს ჩაიდინა გიორგი რურუამ და უნდოდა ჩემ მიერ ამის დადასტურება, რადგან მე ჯაბა იოსელიანთან ვიყავი ახლოს.შემდეგ შემოიყვანა ეს ვეფხვაძე-სვანაძის შვილები, იქაც ანალოგიური საუბარი იყო, იქაც იყო საუბარი იმაზე, რომ მათი მამებიც ამ ადამიანმა მოკლა და უნდოდათ ჩემი დადასტურება”. სარწმუნო წყაროს ცნობით, დაახლოებით შვიდი კვირის წინ, ხაჩიშვილი შეხვდა ყოფილ თავდაცვის მინისტრს გია ყარყარაშვილს. შეხვედრას, სხვა პირებთან ერთად ესწრებოდა ზაზა ვეფხვაძის შვილი ალექსანდრე ვეფხვაძე, რომელმაც მამის მკვლელების ვინაობა რამოდენიმე წლის წინ გაიგო. მანამდე კი დედამისი მაქსიმალურად ცდილობდა, აღნიშნული ინფორმაცია შვილისთვის მიუწვდომელი ყოფილიყო, თუმცა ჟორიკ რურუაზე გაბრაზებულმა ყოფილმა მეგობრებმა, ალექსანდრეს, გამოძიებისთვის ნაცნობი მოვლენების გარდა უცნობი დეტალებიც წვრილად უამბეს.

ვეფვაძე-სვანაძის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილი გახლდათ გიორგი რურუა. რომელიც პასუხისმგებლობას მაშინ, სამი მოწმის ჩვენების საფუძველზე დაუძვრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოწმეებს ცრუ ჩვენების მიცემა ჯაბა იოსელიანმა უბრძანა. ისინი წერდნენ, რომ მკვლელობის დღეს რურუა ზუგდიდში იმყოფებოდა. თუმცა ორი წლის წინ სამივე მოწმე მხედრიონელმა, ალექსანდრე ვეფვაძეს უთხრეს, რომ მათი ჩვენება სინამდვილეს არ შეეფერებოდა და აღნიშნულის შესახებ წერილობით, ნოტარიულად დაადასტურეს. გია ყარყარაშვილმაც არც თუ დიდი ხნის წინ, სატელევიზიო გადაცემაში დაადასტურა, რომ მკვლელი იცნო. მართალია სახელი და გვარი მაშინ არ დაუსახელებია, მაგრამ ყველასთვის ნათელი გახდა ვის გულისხმობდა და ვის უთხრა: შენ ხარ ის კაცი, თბილისში ხალხს რომ ხოცავს?

ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ სოციალურ ქსელში ყარყარაშვილის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს საკმაოდ მწვავე პოსტი მიუძღვნა და სამართალდამცავებს მოუწოდა სრულყოფილად გამოეძიებინათ აღნიშნული უმძიმესი სისხლის სამართლის საქმე... თვენახევრის წინ შეხვედრაზე, რომელსაც ყარყარაშვილი, ვეფვაძე, ხაჩიშვილი და სხვებიც





ესწრებოდნენ, ხაჩიშვილმა საკმაოდ წვრილად ისაუბრა გიორგი ჭანტურიას, გია გულუას, ვეფხვაძის, სვანაძის, თორაძეების მკვლელობასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ დეტალებს არ იცნობდა რადგან მაშინ საქმის კურსში არავის ჩაუყენებია, ხოლო დანარჩენი მკვლელობების დაგეგმვა განხორციელების დეტალებს იცნობდა. ხაჩიშვილმა აღნიშნულ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი და დამსწრეებისთვის უცნობი დეტალებიც გააჟღერა. დაადასტურა ის ფაქტიც, რომ ჯაბა იოსელიანის და მის გარეშე არცერთი სისხლიანი სადამსჯელო ღონისძიება არ ხორციელდებოდა... მოკლედ, შეხვედრის დასასრულს გია ყარყარაშვილს შეპირდა, რომ რაც მათ აუწყა სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ერთ კვირაში წერილობით მიუტანდა. ერთი კვირის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ რურუა ციხეს დატოვებდა. ხაჩიშვილსაც გულმა იქით გაუწია და ისევ „რურუასტანს“ შეეკრა. გია ყარყარაშვილი კი ამაოდ ცდილობდა ხაჩიშვილთან დაკავშირებას. ბოლოს, გიასთვის ნაცნობი ნომერი გააუქმა და



სწორედ ამიტომ შეეცადა გია, ალექსანდრე ვეფხვაძისთვის გატანებული წერილით, პირობა შეეხსენებინა ხაჩიშვილისთვის. თუმცა, ნაცმედიამ მომხდარი უკულმა მიაწოდა საზოგადოებას და ხაჩიშვილი ტანჯულ პერსონად მონათლა, რომელსაც ვეფხვაძე და ყარყარაშვილი აიძულებდნენ რურუას საწინააღმდეგოდ მიეცა ჩვენება.

ხაჩიშვილმა, არ იცის, რომ რაც მან შეხვედრაზე „იჭიკჭიკა“, ამის ჩანაწერი არსებობს, სადაც დინჯად ყვება თავის და სხვა მხედრიონელების კრიმინალურ წარსულზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ცენტრისტების“ დამფუძნებელმა ხაჩიშვილმა 2016 წელს, პარტიის გასაპიარებლად გადაწყვიტა მოეწვია ჟურნალისტები და პირდაპირ ეთერში რამოდენიმე და არა ერთი გაუხსნელი მხედრიონელების მიერ ჩადენილ მკვლელობის დეტალებზე ესაუბრა. თუმცა, მაშინ „თანაპარტიელებმა“, რიგი მიზეზების გამო არ მოუწონეს განზრახვა და მხილება მომავლისთვის გადადეს. მომავალი კი „ცენტრისტებმა“, როგორც პრორუსულმა პარტიამ, სამუდამოდ დაკარგა...

ვინ არის თემურ ხაჩიშვილი? ის ოთხმოცდაათიან წლებში იკავებდა მნიშვნელოვან თანამდებობებს, მათ შორის შს მინისტრის, შემდეგ უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობას. ასევე, გახლდათ მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი. თეიმურაზ ხაჩიშვილი სამჯერ იყო ნასამართლევი. 1979 წლის 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით გაასამართლა და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ასევე ეჭვმიტანილი იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გია ჭანტურიას მკვლელობაში. 1998 წლის 10 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხაჩიშვილი გაასამართლა ედუარდ შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმის ბრალდებით და განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (აქედან 8 წელი საპყრობილეში მოხდით). შეწყალებულ იქნა 2002 წლის 5 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის №929 განკარგულებით და გათავისუფლდა პატიმრობიდან. გათავისუფლების შემდეგ თეიმურაზ ხაჩიშვილმა დააფუძნა პოლიტიკური მოძრაობა „დათვი“. 2004 წლის 25 აპრილს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით დაპატიმრებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის (იარაღის უკანონო ტარება და შენახვა) ბრალდებით. მოგვიანებით ის გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მან საქართველო დატოვა.

2011 წლის მაისში, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა 24-კაციანი დაჯგუფება დააკავეს, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შეცვლის მცდელობის ბრალდებით. ოფიციალური ინფორმაციით, 24 ადამიანისგან შემდგარ დაჯგუფებას საქართველოს ყოფილი შს მინისტრი და ასევე „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი, თემურ ხაჩიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც მიუხედავად მძიმე ბრალდებისა და რიგი მტკიცებულებისა, არ დაუკავებიათ. კონფიდენციალური წყაროს ცნობით სწორედ მან, „მაღალის“ დავალებით, დადგა აღნიშნული სპექტაკლი და შემდეგ უდანაშაულო თანამოაზრეები „ჩაუშვა“. მოგვიანებით კი კითხვაზე, რატომ გაწირა ციხისთვის უდანაშაულო ბიჭები, უპასუხა, რომ „დიად საქმეს მსხვერპლი ჭირდება“. ხაჩიშვილი, რომ დღესაც ცეცხლს ეთამაშება ფაქტია. თამაში კი ისევ „მაღალის“ და მისი ავაზაკების შესრულებით მიმდინარეობს.რეჟისორი სავარაუდოდ ისევ მხედრიონელების და ნაცბანდის ერთგული მფარველი – რუსეთია.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ბუბა ხოტივარის ხსოვნას



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია დიდ მწუხარებას გამოხატავს უნიჭიერესი ქართველი ხელოვანის, მწერლისა და რეჟისორის, საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მამულიშვილის, მწერალთა აკადემიის დამფუძნებელთა საბჭოს წევრის, კინო აკადემიის პრეზიდენტის:

**ბუბა (რამაზ) ხოტივარის** გარდაცვალების გამო.

ბუბა ხოტივარი იყო მეგობრებთან და საზოგადოებასთან ხალასი ურთიერთობის ეტალონი, მართალი და გამჭრიახი გონების პატრონი...

ის გმორჩეული იყო თავისი იუმორით და დამოკიდებულებით ადამიანთა ბედის მიმართ, შეჰქონდა ხალისი და იმედით მუხტავდა დეპრესიულ გარემოს... ის ლაღად „მოძრაობდა“ კაცობრიული ისტორიის დასაბამიერ ლაბირინთებში და არა ერთი წერილი და ესსეი მიუძღვნა ქართველი რასის წარმომავლობას...

მის ინტერესთა სფეროს მოიცავდა ქართული ისტორიული მწერლობის, როგორც უნიკალური მხატვრული-კულტურული ფენომენის, ასევე ბიბლიურ თემათა სამყარო და ცდილობდა მათ ვიზუალურ წარმოსახვას: ქმნიდა ფილმებსა და სცენარებს ამ სიუჟეტებზე...

ბუბა ხოტივარი იყო შესანიშნავი პედაგოგი და თეატრალურ ინსტიტუტში (და ზოგადად კინო სივრცეში) ქმნიდა მხატვრული და ესთეტიური ხედვის საკუთარ ხელწერას...ის იყო სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების პიკზე და კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ, განგებამ არ აცალა და ბედისწერამ გზა ვერაგულად მოუჭრა.

ვფიქრობთ, ბუბა ხოტივარზე ბევრი რამ დაიწერება და ითქმება, ახლაც და მომავალშიც და მისი ნათელი პორტრეტი არ დარჩება თაობათა ყურადღების გარეთ!

მწერალთა ეროვნული აკადემია უსამძიმრებს მის ძირძველ, ტრადიციულ ოჯახს, მის ახლობლებსა და ნათესავებს, ქართველ ერს, კულტურის საზოგადოებას, მათთვის უძვირფასესი ადამიანის გარდაცვალებას.

საქართველოს მწერალთა
ეროვნული აკადემიის სახელით:

**კობა არაბული, როინ მეტრეველი, ვახტანგ ხარჩილავა, რეზო კვესელავა, ელიზბარ ჯაველიძე, ერეკლე ტრიპოლსკი, ლერი ალიმონაკი, ავთანდილ არაბული, ლევან ბრეგაძე, ირაკლი ვაშაყმაძე, ტარიელ ხარხელაური, აკაკი გასვიანი, გურამ პეტრიაშვილი, გიზო ზარნაძე, მერაბ ბერიძე, ვაჟა ხორნაული, ზაურ კალანდია, გური ოტობაია, თორნიკე ალაშვილი, ჯუბა ღებელი, ვანო ჩხიკვაძე, თემურ შავლაძე, ელდინო ძაგანი, გიორგი თევზაძე, ამირან დოლიძე, როსტომ მიგრიაული, ჯემალ ბჟალავა, ზურაბ თორია, ლაშა გვასალია, ძელიმხან მაღრაძე, ანზორ სიფრაშვილი, ბადრი ინაშაური.**



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტის ბუბა ხოტივარის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, მის კოლეგებსა და მეგობრებს, მთელ საქართველოს.**

**„საერთო გაზეთი“**

# „მომავალი უკვე დღესაა“

**გთავაზობთ ფრაგმენტებს სოფო შევარდნაძის წიგნიდან „მომავალი უკვე დღესაა“, რომელიც ახლახან „პალიტრა L“-მა გამოსცა**




## ციფრული დამოკიდებულება

კარანტინამდე ციფრულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ორი კურიოზული ამბავი შემემთხვა.

პირველი, როცა თემურ ბეკმამბეტოვთან პროგრამას ვიწერდი და პირდაპირ ეთერში საკმაოდ თამამად მოვიქეცი; ვნახე, რამდენ საეკრანო დროს ვატარებდი ტელეფონში და მაშინვე ვაჩვენე ეს ციფრი მაყურებელს. აღმოჩნდა, რომ — რვა საათს. ეს საკმაოდ რთული გასააზრებელი იყო.

მეორე კურიოზი შარშან ზაფხულს ნორმანდიაში შემემთხვა. იქ, პლაჟზე, ძლიერი მოქცევა იცის. ზიხარ ნაპირზე, წყალი შორსაა, საკმარისია, ერთი წუთით შეტრიალზე ლიმონათის შესაკვეთად და... შენი ჩანთა და სათვალე უკვე წყალშია. ზუსტად ასე წაიღო წყალმა ჩემი ჩანთა და ტელეფონი, საცურაოდ რომ შევედი. ჩანთის დაჭერა კი მოვასწარი, მაგრამ ტელეფონმა სული განუტევა.



პატარა ქალაქში ვიყავი, სადაც არ იყო **“Apple Store”**, ასე რომ, ვერ წავიღოდი და ახალ „აიფონს“ ვერ ვიყიდდი, ამიტომ თითქმის ერთი კვირა უტელეფონოდ დავრჩი. თავიდან შემეშინდა, რადგან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს პარალიზებული და წაშლილი ვიყავი. აღარ არსებობდა ადამიანი, სახელად სოფიკო. მერე, როცა უტელეფონოდ ერთმა დღემ ჩაიარა, მივხვდი, რომ არც ისე ცუდად იყო საქმე. პირში სული მიდგას, ვიცინი, ვჭამ, ვსვამ, ადამიანებს ვეკონტაქტები, უბრალოდ, აღარ ვარ ტელეფონზე მიჯაჭვული, როგორც პოლიციელზე ხელბორკილით მიბმული პატიმარი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას. ერთი დღე უგაჯეტოდ საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბედნიერებისა და თავისუფლების რაღაც წარმოუდგენელ განცდას ავეტანე. არ ვიცი, შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ ზაფხულში, შვებულებისას, ყოველ წუთს არ უნდა მეპასუხა ადამიანებისთვის და არც ჩემი პროგრამების რედაქტორებს უნდა დავკავშირებოდი. მაგრამ სილაღის ძლიერმა შეგრძნებამ მიმახვედრა, რომ, რა თქმა უნდა, ციფრულ ნემსზე ვიყავი შემჯდარი და ეს არც კი ვიცოდი.

ყველა რაღაცაზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ ამას ვერ ვიაზრებთ. როცა მავნე ნივთიერებებს მოიხმარ, თავიდანვე იცი, რომ ეს სრულებითაც არ არის სასარგებლო, რომ ვნებ ჯანმრთელობას და საკუთარ თავს ებრძვი. აქ კი ისეთი სიფრიფანა ზღვარია: თუ გაჯეტები არ გაქვს, საზოგადოების წევრიც არ ხარ, სამუშაო ნაკადიდანაც ამოვარდები და ველარც ზარებს უპასუხებ. ციფრული დამოკიდებულებების შემთხვევაში თითქოს თავის გასამართლებელიც გაქვს — „ყველა ასეა, უამისოდ ვერ ვიმუშავებ, სამსახურიდან დამითხოვენ“. ერთია, როცა სამუშაოსთვის ვიყენებთ გაჯეტებს, თუნდაც დიდი ოდენობით. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს „სოციალური სანქცირება“ უაზრო სქროლინგში გადადის. თუ გინდა, აქტიური საზოგადოების, ეგრეთ წოდებული, მოწინავე საზოგადოების ნაწილი იყო, ქსელში უნდა იმყოფებოდე.

ეს ჰგავს ვახშმობისას ჭიქა ღვინის დალევას... საკუთარ თავს ეუბნები: „დღეს მხოლოს ერთ ჭიქას დავლევ. დიდი-დიდი, ორს...“ „დიდი-დიდი ორი“ კი სამი ჭიქით მთავრდება, მერე კიდევ რაიმე დიჯესტივი გამოჩნდება... ადამიანმა ყოველთვის ზუსტად იცის, რამდენი ხანი სჭირდება ტელეფონით საუბრისთვის. მერე რა? ხუთი საათია, სამუშაოს უზიხარ; დიდი ამბავი, ერთი საათიც სოციალურ ქსელს ჩაუჯდე, ან სულაც საათნახევარი. მსგავსი პროცესია.

იმ ზაფხულს, ტელეფონი რომ დავკარგე, მართალი გითხრათ, მესამე დღეს უკვე ვიცოდი, სად შემეძლო ტელეფონის ყიდვა. მაგრამ გააზრებულად არ წავედი და ერთი კვირა უტელეფონოდ გავძელი. ვერ გეტყვით, რომ „ლომკა“ დამეწყო და რომ ძალიან მჭირდებოდა, რადგან მშობლებსა და ახლობელ ადამიანებს ჩემი მეგობრის ტელეფონით ვუკავშირდებოდი, რომელიც ჩემთან ერთად ისვენებდა. მაშინ მივხვდი, რომ „ციფრული დამოკიდებულება“ ფიგურალური გამოთქმა როდია. იგი მართლაც არსებობს და ნთქავს ყველას, მათ შორის — მეც. მაგრამ ტელეფონთან დაკავშირებულმა ინციდენტმა ისიც მიმახვედრა, რომ მისგან გათავისუფლებაც შესაძლებელია, ესეც ასე შემთხვევით და ადვილად აღმოვაჩინე. ამიტომას არ ვიყიდე ტელეფონი და ეს თავისუფლება შეგნებულად გავიხანგრძლივე.

სექტემბერში მოსკოვში დავბრუნდი და, რა გაეწყობოდა, ისევ ციფრულ პატიმრობაში აღმოვჩნდი. აქ უტელეფონოდ ვერ იქნები. მართლაც პრობლემაა, როცა ვერ გიკავშირდებიან. რომც გადაწყვიტო: „ამიერიდან თავს შევიზღუდავ, ტელეფონი — დღეში მხოლოდ ორი საათი!“ — ვერ შეძლებ, როცა ბევრი სამუშაო გაქვს.

ჩვეულებრივ, მოსკოვში დიდხანს ვდგავარ ხოლმე საცობში და მანქანაში ჯდომისას ტელეფონში ვათვალიერებ დოკუმენტებს, ვწერ კითხვებს, არ გამოვდივარ **“Google Docs”**-დან, ვამოწმებ ფოსტას და ვპასუხობ წერილებს, სამუშაო მომენტებს **“WhatsApp”**-ში ვწყვეტ. სოცქსელებიც, აბა, როგორ, თან სდევს ონლაინ-მუშაობას, როგორც მზითევი პატარძალს.

ჩვენ ხშირად გვერევა ცნებები „ონლაინ-მუშაობა“ და „ციფრული დამოკიდებულება“.

ექიმმა კურპატოვმა, ამ პრობლემას რომ განვიხილავდით, ძალიან ზუსტად ჩამოაყალიბა განსხვავება: „ციფრული დამოკიდებულება პრიმიტიული კონტენტის მოხმარებაა. პრობლემა ის არის, რომ ადამიანი, საკუთარ თავთან მარტო რომ რჩება, მომენტალურად ეჯაჭვება მის მოხმარებას: ათვალიერებს ახალი ამბების ლენტს, ფოტო-სურათებს, რაღაცას „ალაიქებს“, უყურებს სულელურ ვიდეოს. **“TikTok”**-ის ლენტი კლასიკური სოციალური ექსპერიმენტია: შეგიძლიათ გინდ მოხუცს, გინდ — ახალგაზრდას, მისცეთ ხელში ტელეფონი და ორივე კარგა ხნით მიაშტერდება ამ სურათს. პრობლემა ის კი არ არის, წიგნებზე რომ კომპიუტერში ვმუშაობ. მე ხომ ფურცელზე არ ვწერ, და არც ვინმე მიზის გვერდით, რომ, დოსტოევსკის ცოლივით, გადამითეთროს ნაწერი, თავად ინტერნეტი სულაც არ არის პრობლემა — კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. პრობლემა სწორედ ის გახლავთ, რომ ტვინი, როცა მარტივსა და რთულს შორის უნდა აირჩიოს რომელიმე, განსაკუთრებით დიდი კოგნიტური დატვირთვის შემთხვევაში, პრიმიტიულ კონტენტს ირჩევს, და იმის გამო, რომ პრიმიტიულ კონტენტს ვირჩევთ, იგი ჩვენი შინაარსი ხდება“.

და აი, დადგა პანდემია და ჩვენი ცხოვრება გაციფრულდა. იმის რისკი, რომ პრიმიტიული კონტენტი ჩვენს შინაარსად იქცევა, მრავალჯერადად გაიზარდა.

მახსოვს, ჯერ კიდევ კარანტინამდე, დავოსში ციფრული დამოკიდებულების შესახებ კურპატოვის გამოსვლას სერიოზული რეზონანსი მოჰყვა. ყველა მსჯელობდა მოხსენებაზე, რომელიც იმის შესახებ იყო, თუ რა ემართება თანამედროვე ადამიანის ტვინს, მაგრამ ყველას როდი სურდა ამ რაკურსით სარკეში საკუთარი თავის დანახვა.

„ინტელექტუალური დონის დაქვეითება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური აშლილობის მატებას იწვევს. სოციალური ციფრული აუტიზმი იმიტომ მადარდებს, რომ ადამიანები სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ. ტექნოლოგიების განვითარების გამო საზოგადოებას შეიძლება დაერღვეს ერთიანი ქსოვილი, შეწყვიტოს ჯანსაღი შინაგანი ზრდა და დეგრადაცია დაეწყოს. ეს მართლაც დიდი პრობლემაა, რადგან თვითიზოლაციის დროს კონტენტის მოხმარება მეტად გაიზარდა“.




თუმცა, მეორე მხრივ, პანდემიის დროს „ციფრი“ ახალ ჟანგბადად იქცა როგორც პირად, ისე სამუშაო ურთიერთობაში. და ამგვარი ვითარების მიუხედავად, უცნაური რამ დამემართა. ჩემი საეკრანო დრო განახევრდა, ზოგ დღეებში კი გამესამედდა. ამასთან, ეს სულაც არ ყოფილა დიჯიტალდეტოქსის მიერ გამიზნულად დაგეგმილი ღონისძიება. საკუთარი თავისთვის არ დამიწესებია შეგნებული შეზღუდვები, რომ, ვთქვათ, ვილაპარაკებ ტელეფონით ერთი საათი და მერე ოთხი საათი აღარავის დავურეკავ. ყველაფერი თავისთავად მოხდა, რადგან ცხოვრების რიტმი შეიცვალა.

დიახ, პანდემიის დასაწყისში, როცა ორი კვირით ბინაში მარტო დავრჩი, უტელეფონობა არ შემეძლო. პანიკამ მომიცვა, შიში დამეუფლა და სამყაროსთან კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად ტელეფონი დამრჩა. ცხოვრებაში პირველად წავედი თვითიზოლა-

ციაში, მჭირს მწვავე რესპირატორულ-ვირუსული ინფექცია კორონავირუსის სიმპტომებით და ამ მდგომარეობაში ტელეფონი გვერდზე გადავდო? არა, რა თქმა უნდა! მთელი პირველი კვირა წამით არ გამიშვია ხელი ტელეფონისთვის: იმიტომაც, რომ ავად ვიყავი და იმიტომაც, რომ შიშით გამოწვეული რაღაც ფსიქოზი მჭირდა.

მაგრამ ამ პანიკის დროსაც კი არ შემეძლო, თუნდაც უაზროდ გამომეყენებინა პრომოტიული კონტენტი, რომლის შესახებაც კურპატოვი გვესაუბრებოდა. მიჯაჭვა არანაირ კონცენტრაციას არ საჭიროებს, ეს დროის უშედეგოდ ფლანგვაა. თუმცა ისიც მოითხოვს ყურადღების მინიმალურ პროცენტს, როცა სურათს უყურებ, პოსტს კითხულობ თუ ბმულზე გადადიხარ. მაშინ ასეთი მინიმალური კონცენტრაციის რესურსიც კი არ მქონდა. მერე კი საერთოდ გადავეჩვიე სქროლინგს. აღარ მაინტერესებდა.



დაკვირვებები იმაზე, თუ როგორ მეცვლებოდა ჩვევები კარანტინის დროს, იმედს მაძლევს, რომ ციფრული დამოკიდებულების პრობლემას პანდემია კი არ გააღრმავებს, არამედ გადაწყვეტს. აუზანს კი, როგორც გამოუსწორებელ ოპტიმისტს, მიაჩნია, რომ ციფრების სამყაროში გადასვლას თავისი უპირატესობები აქვს, რომლებიც სწორედ პანდემიის დროს გამოვლინდა: „დიახ, ჩვენ წინ წავიწიეთ ციფრიზაციაში, მაგრამ მთავარი წინგადადგმული ნაბიჯი იცით, რა იქნება: არც ბიზნესის ფული, არამედ მოსახლეობის უნარ-ჩვევები; ის, რომ ბევრი ადამიანი იძულებული გახდა, ესწავლა ციფრული საშვების შეკვეთა ნათესავებს როგორღაც ხომ უნდა დაუკავშირდე, ხომ უნდა ისწავლო „ზუმში“ დალევა... გაიზარდა მოსახლეობის ციფრული უნარ-ჩვევები — აი, ეს არის სერიოზული მიღწევა“.

აუზანის ამ სიტყვებმა ჩემი არაჩვეულებრივი კლასის დამრიგებელი, ავდოთია ანდრეევნა გამახსენა, რომელიც ამჟამად მესამეკლასელ ბავშვებს ასწავლის. ბავშვებს ის გაგიჟებით უყვარს: უჯერებენ, ხალისით სწავლობენ. მაგრამ როცა პირველად ვნახე „ზუმში“, როგორ მიმართავდა კლასს, გული შემეკუმშა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ავდოთია ანდრეევნა „ზუმში“ კი არა, ვეფხვების გალიაშია შესული. ბავშვებს დაბნეული, აკანკალებული ხმით ეკითხება: „გესმით ჩემი? შენ თუ გესმის, კატია? შენ, სლავა?“ არადა, სხვადასხვა სფეროში უამრავი ავდოთია ანდრეევნასნაირი სუპერპროფესიონალი, რომელიც ციფრულ უნარ-ჩვევებს ვერ ფლობს, ყველაზე უხეში ციფრი რომ ავიღოთ, ეს რუსეთის მოსახლეობის ნახევარია. და ის, რომ „ზუმერები“ იძულებულნი გახდნენ, ციფრული უნარ-ჩვევები შეეძინათ, მთელი საზოგადოებისთვის დიდი ნახტომია. ეს პროფესიული სფეროების ერთგვარი აფგრეიდია, რომელიც, პანდემია რომ არა, კიდევ დიდხანს არ მოხდებოდა.

ახლა პერიფერიაში რამდენ ადამიანს გაუადვილდა სამუშაოს შოვნა?! ნასიმ ტალები იმასაც კი ცდილობს, რომ თანამემამულეებს ემიგრაციაში წასვლა გადააფიქრებინოს: „პანდემიის დროს საყოველთაო ციფრიზაციას პლუსიც კი აქვს: დამსაქმებელმა შეიძლება თავად გიპოვოს. მაგალითად, ახლა ლიბანში კრიზისია და ადამიანებს ემიგრაციაში წასვლა სურთ. მე კი ვეუბნები: „არა, შინ დარჩით, ეცადეთ, დისტანციურად იშოვოთ სამუშაო. ეს გაცილებით იოლია, ვიდრე ვიზასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება“.

### მასობრივი ფსიქოზი

ახლა ცოტაოდენი რამ იმ კვალზე, თვითიზოლაციამ ჩვენს ფსიქიკაზე რომ დატოვა. ადამიანთა უმეტესობას, განსაკუთრებით, ექსტრავერტებს და მათ, ვინც შინ მხოლოდ იძინებდა (ისიც მხოლოდ მაშინ, თუ სამოგზაუროდ არ იყო წასული), თვითიზოლაცია ძალიან გაუჭირდა. ადამიანებს დაეწყოთ ფსიქოზი, ნევროზი, დეპრესია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს კარანტინი მენტალურად ბევრს დააზარალებს. მსგავსი სიტუაცია ხშირად გადაიზრდება ხოლმე საზოგადოების არაადეკვატურ რეაქციაში, სოციალურ აფეთქებაში, საყოველთაო ფატალიზმში სერიიდან „რაც იქნება — იქნება“, ან საკუთარ თავში ჩაკეტვასა და უცხოებისადმი შიშში, რაზეც ადრე უკვე ვიმსჯელეთ.

ყველა თავისებურად უძლებს ძნელბედობას. წიგნის დასაწყისში გიამბეთ, რა წარმოუდგენელმა შიშმა ამიტანა. ეს ყველაფერში ვლინდებოდა. დღისით, რეალობას რომ გავქცეოდი, ჩემი ორგანიზმი ძილის რეჟიმს რთავდა. ანაზდად, სრულიად უმიზეზოდ, საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. სავსებით ვითიშებოდი. ასე მჭირს ბავშვობიდან. პატარა რომ ვიყავი და რაღაცის ძალიან მეშინოდა, მაგალითად, ზღაპრული პერსონაჟის ან ბებიაჩემის, როცა, შემთხვევით, სამკაულს დავუზიანებდი, — მაშინვე ვამბობდი, „ნანაჩი“ მინდა-მეთქი და დღე-ღამის ნებისმიერ დროს ვიძინებდი. და ახლაც: არსებული რეალობა მაშინებდა და საპასუხოდ იმწამსვე ვიძინებდი. ღამით კი პირიქით. გამეღვიძებოდა და წამოვხტებოდი, თითქოს ინსულინის ან ადრენალინის უზარმაზარი დოზა გამიკეთეს და თვალებდაჭყეტილი ერთ წერტილს მივშტერებოდი გათენებამდე, რომ მზის ამოსვლისთანავე კვლავ ჩამეძინა, რაც იზოლაციის მორიგ დღესა და გაურკვევლობას მოასწავებდა. ეს რაღაც ნაგლეჯ-ნაგლეჯ ცხოვრებას ჰგავდა, ძილიდან — ძილამდე, და არა პირიქით. სამშობლოში დაბრუნებული, ქალაქგარეთ მდებარე მშობლების სახლში რომ არ გადავსულიყავი, მეშინია კიდეც, წარმოვიდგინო, ახლა რა მენტალურ მდგომარეობაში ვიქნებოდი.

ამიტომაც ფსიქიკური დარღვევების ხარისხი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ვითარებაში გაატარეთ კარანტინი. კურპატოვს მიაჩნია, რომ იზოლაციის გამო ადამიანში ადაპტაციის სისტემები ირღვევა: „ადამიანთა 20%-ს ექნება სხვადასხვა სახის პოსტტრავმული სტრესული აშლილობა; 20% კი მთელი მოსახლეობის მეხუთედია. ანუ ადამიანთა იმ 20%-ს, ვისაც ფსიქიკური აშლილობა უკვე აქვს, დაემატება კიდევ 20% და მივიღებთ მოსახლეობის 40%-ს, რომელიც არ იქნება ფსიქიკურად ჯანმრთელი. ვფიქრობ, თვითმკვლელობის შემთხვევები, მთლიანობაში, კორონავირუსზე მეტ სიცოცხლეს შეიწირავს: ეს იქნებიან ადამიანები, რომლები დაკარგავენ ბიზნესს, რომლებსაც დაუგროვდებათ ვალები... ასე იყო 1999 წელს, როცა მამაკაცებს შორის თვითმკვლელობის ორმაგი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა ამის შესახებ ნაკლებად ლაპარაკობენ. ეს დიდი პრობლემაა“.

ჩერნიგოვსკაია ადასტურებს, რომ ფსიქიატრები, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს, ერთხმად აცხადებენ, რომ ამ ისტორიის მომდევნო ეტაპი მათი საზრუნავია: „როცა აქედან ყველანი გავაღწევთ, აღმოვაჩენთ მთელ რიგს ადამიანებისას, რომლებიც გამოღწევას არ მოისურვებენ: — რა საჭიროა გაღწევა? აქაც მშვენივრად ვზივარ. იქნებიან, ასევე, ადამიანები, რომლებსაც შეეშინდებათ გაღწევის: — დავუშვათ და გამოვაღწიე, მერე რა დამხვდება? მათ გონებით ეცოდინებათ, რომ სხვებივით, მათაც ზუსტად იგივე დახვდებათ, მაგრამ ეს მათ შიშს ვერ უშველის. ახლა დაიწყება ნევროზი და ფსიქოზი. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. უნდა შევეწყვეტოთ ჭკუიდან შეშლა“.

დროში გახანგრძლივებული შიში და შიშში ცხოვრება, ალბათ, ყველაზე გამანადგურებელია ადამიანის ფსიქიკისთვის, მით უფრო, თუ ეს მასობრივი შიშია და გარდაიქმნება ერთ დიდ ენერგიად, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს. იქნებ, დიდ ეკონომიკურ ცვლილებებზე მეტად ფსიქოლოგიური ცვლილებების უნდა გვეშინოდეს?

უსკოვა დარწმუნებულია, რომ საყოველთაო ფსიქოზის აფეთქების წინ ეს ეპიდემია ბოლო წვეთად იქცა: „უფრო მასშტაბური და საშიში მასობრივი დაავადებებიც ყოფილა, მაგრამ ის, რომ ეპიდემიას ახლა მასობრივი ფსიქოზი მოჰყვა, თანაც საკმაოდ მძლიერი — შემაშფოთებელია. კაცობრიობის რეაქცია მოწმობს, რომ პანდემიამ რაღაც ფსიქიატრიული ჩირქგროვა გახეთქა... რომ კაცობრიობა უკვე ავად იყო. განგაშის დონე ზღვარს აღწევს.

ორი წლის წინ ლას-ვეგაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მსოფლიო გამოფენაზე ვიყავით. ეს იყო ნამდვილი ბაბილონის გოდოლი! გამოფენის გახსნიდან უკვე მეორე დღეს ხალხს ვირუსი დაერია. ჩემს სტენდთან ნახევარს 39-მდე ჰქონდა სიცხე: ერთმანეთის მიყოლებით ათასობით ადამიანი დაავადდა. რომ მოვფრინავდით, ლამის ზურგით მოვათრევდი ჩვენს ხელმძღვანელს, ბიზნესდარბაზი კი ლეპროზორიუმს უფრო ჰგავდა. მე რაღაც ზეციურმა ძალამ დამიფარა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ შინ ისე ავად გავხდი, რომ, გვირაბის ბოლოს სინათლე დავინახე. ეს იყო პნევმონია, რომელსაც ვერანაირი ანტიბიოტიკი ვერ ერეოდა. მაგრამ შიში არ მიგრძვნია. არც მე, არც ვინმე სხვას ვეგასში არ შეგვშინებია! იმიტომ, რომ ეს იყო ცხოვრება. ჰო, ადამიანები კვდებიან. იმ პნევმონიების სტატისტიკა, რომლებსაც ადრე ატიპურს უწოდებდნენ, ისეთივე იყო, როგორც ახლა კოვიდ-19-ს აქვს. მართალია, ახლა სწორედაც რომ ეპიდემიაა, ამას არ უარვყოფ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ აქ საკვანძო გახდა ის, რომ კაცობრიობა, როგორც სახეობა, განგაშის გარკვეულ ზღვარს გასცდა! დიახ, უწინაც ვნერვიულობდით რაღაც საკითხებზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2020 წელს მასობრივი დაავადება დაიწყო, წყობიდან გამოვედით. აი, როგორ ხდება ხოლმე: ითმენ, არ ეყრები ქმარს, თუმცა სვამს კიდეც, გცემს კიდეც და უცებ, სიდედრისთვის დაბადების დღის მილოცვა რომ დაავიწყდა, თავი ვეღარ შეიკავე და ჯანდაბაში გაუშვი. ეს ეპიდემიაც ბოლო წვეთი აღმოჩნდა კაცობრიობისთვის. და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენი განსაცდელის დასაწყისი“.



ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ შიშზე, როგორც ცალკე აღებული ადამიანის ფსიქიკისთვის დამღუპველ ფაქტორზე. ასეა: ან პოულობ საკუთარ თავში ძალებს, რამე იღონო, ან განაგრძობ შიშით ცხოვრებას. ხოლო, როცა შიში მასობრივია, ეს უკვე ბევრად დამანგრეველი მოვლენაა, რადგან დაშინებულ ადამიანთა მართვაა და მანიპულირებაზე ადვილი არაფერია.

„ილონმასკი ამბობს, რომ კოვიდ-19-ის არ ეშინია; აი, ტვინის ვირუსის კი — ყველაფერზე მეტად. საშიშია, როცა ტოტალურ გონებას ერთი მიმართულებით ამღვრევენ. სახეობის რეზისტენტულობისა და ადამიანთა შფოთვის ასეთ დონეზე ტვინის ვირუსი სერიოზული პრობლემაა. ახლა კაცობრიობა შეიძლება ნებისმიერი მასობრივი ფსიქოზისთვის გაწირო. რაც დაბალია ადამიანის განათლების დონე და მაღალია მისი ემოციური აგრესიულობა, მით მეტად აქტიურად გამოავლენს იგი თავს: შეიძლება ინფიცირებული ადამიანიც კი მოკლას. გახსოვთ, შვარცთან ერთ დიალოგში საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მოკლა ქოლერის დროს ქმარმა ცოლი (რომელმაც ერთი ჭიქა აუდუღარი წყალი დალია), რათა ქალას არ ეტანჯა? ეს სტანდარტული ამბავია. დაუსრულებელი მანიპულაცია ამაზრზენია, რადგან იგი ხანდაზმული ადამიანებისკენაა მიმართული და ზრდის მათი შფოთვის დონეს, უსუსტებს იმუნიტეტს. ამ ყველაფერს ხანდაზმულთა თაობა ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ ადამიანები ლოგიკლურად ვეღარ აზროვნებენ და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს ვეღარ იღებენ. შფოთვის მაღალი დონე შეიძლება შეიარაღებულ კონფლიქტში, სტიქიურ ამბოხებაში ან შეშლილობაში გადაიზარდოს“, — ამბობს უსკოვა.

ჩვენ თვალწინ უსკოვას ვარაუდი რეალობად იქცევა: ესაა სოციალური პროტესტები შეერთებულ შტატებში, ივლისის მეტად საგანგაშო აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი... ასეთი მოვლენები უკვე ჰიპოტეზა კი არა, პანდემიის რეალური, მათ შორის, მასობრივი ფსიქოზით გამოწვეული, შედეგებია. საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმ სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია, რომელზეც დამოკიდებულია, თუ რამდენად უმტკივნეულოდ და სწრაფად დავძლევთ კრიზისს.

# ფრანციცულიდან რუსულზე და შემდეგ ინგლისურზე გადატყლარჭული ერი

საუკუნეების წინათაც ეს ჭირი გვჭირდა – იყო დრო, ფრანციცული მოვლენებითა ვცხოვრობდით... უფრო სწორედ, კი არ ვცხოვრობდით, ვიტყლარჭებოდით, ქართულს აღარა ვკადრულობდით, მშობლიური ენა გვესირცხვილებოდა და მივედმოვედებოდით. შემდეგ რუსულმა ეპოლეტებმა და ჟღარუნ-ჟღურუნებმა წალეკა ჩვენი საცოდავი ქვეყანა და ფრანციცულიდან რუსულ ყაიდაზე გადავიტყლარჭეთ.

დღეს ქართულ ენას საქართველოში ძირითადად ანაგვიანებს, აფუჭებს და ალპობს ოთხი ე.წ. ტელევიზია. არც სხვა ტელეარხებიდან მოედინება თავანკარა ქართული, მაგრამ ეს ოთხი ორგანიზაცია აშკარად უვიცთა თავშესაფრად იქცა. ესენია: „მთავარი არხი“ (ეს ისეთი მთავარია, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორის სიძე), „ტვ პირველი“ (მეთუთუნე ჭუტა ტელევიზიას რომ გახსნის, მეტს არც უნდა ველოდეთ), „ფორმულა“ (კეზერას ხელქვეითებმა ქართული საიდან უნდა იცოდნენ?), „კავკასია“ (ეს ტელევიზიად არ ითვლება, მაგრამ საღამოობით თითო საათით რომელიღაც ენაზე მაინც ლაპარაკობენ ხოლმე). უკვე გითხარით, ქალბატონმა ბელამაც გითხრათ, ყოველ დროებაში ქართულ ენას უვიცები თავიანთებურად უტევდნენ, ადრე ელექტრონული დეგენერატები არ იყვნენ, უფრო სწორად, ელექტრონიკა ეგრე მაღალ დონეზე არ იყო, განვითარდა და ახლა ესენი გამოჩნდნენ, ახალი ტიპის უწიგნურები.

ჯავახიშვილის თქმით, ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და როს ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს... დიახ, სწორედაც ეგრეა!

როდის დაიწყო ქართულმა ენამ ფართხალი? ბოლოს მაშინ იყო, როცა ძალაუფლება კრეტინიზმით დაავადებულმა ავადმყოფებმა ჩაიგდეს ხელში. ისინი 2003 წლის ნოემბერში მოეთრნენ და დაიწყეს მასშტაბური შეტევა ქართულ ენაზე. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ მსგავსი უმეცრება საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა:

გააუქმეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია; გააუქმეს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი; გააუქმეს ენის სახელმწიფო პალატა; გააუქმეს ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელიც ქართულ ენას ეხებოდა; გააუქმეს ყველა ტელე და რადიოგადაცემა ქართული ენის შესახებ; შეამცირეს სკოლებში ქართული ენის საათები; პირველ კლასში დედაენის საათები გააუქმეს ინგლისურს; უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა სავალდებულო კურსი „ქართული ენა“ („ქართული მეტყველების კულტურა“). როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი პირველად გაპრემიერდა, მისი ინიციატივით შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ამ კუთხით უთუოდ უნდა გამოსწორებულიყო სიტუაცია, მაგრამ ირაკლის აღარ დასცალდა, მოვიდა გიორგი კვირიკაშვილი, მან დეპარტამენტის „უმფროსად“ თავისი ძმაკაცი გია ალიბეგაშვილი მოიყვანა და როგორც მოსალოდნელი იყო, მოკვდა (ჩაკვდა) თემა. ალბათ გახსოვთ, ამაზე რამდენიმე თვის წინ ვწერდი და მადლობა, რომ გარკვეულ წრეებში ამ წერილმა კატალიზატორის როლი შეასრულა, ბევრმა სპეციალურად შექმნილი კომისია უკვე დატოვა და ვინც გარდაიცვალა, ისინიც ჯერ კიდევ არ ამოუღიათ სიიდან. რა ვიცი, ან ეზარებათ, ან კიდევ ვერ იცლიან.

ამ დეპარტამენტზე წერას არ ვაპირებდი, უბრალოდ სიტყვამ მოიტანა. იცით, ამჯერად რა მაწუხებს? ჩემი საყვარელი პროფესია (ჟურნალისტიკა) ამ მათხოვრების ხელში მეძავ ქალს რომ დაემსგავსა და ტლაპოშია ამოგანგლული, ეგ მაწუხებს, ეგ მაწვალებს და მოსვენებას არ მაძლევს. სრულიად ვეთანხმები პროფესორ თეა შაყულაშვილს, რომელიც ამბობს, ყველა პროფესიაში შეიძლება დამალო საკუთარი უმეცრება, უწიგნურობა, განუვითარებლიბა – გარდა ჟურნალისტობისა. ქალბატონი თეა შემდეგ ცოტა აჭარბებს: არადა, ამ პროფესიას მარტო ეგეთები ეტანებიანო. არა, ამ პროფესიას მარტო ეგეთები არ ეტანებიან, მაგრამ უკეთესები იმას არ კადრულობენ, რასაც შავნოდარა, ინგულია და ეთუნები კადრულობენ. ეხლა ცოტა ისეთ რაღაცას ვიტყვი, შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ არის ამ ნათქვამში სიმართლე – ძველებიც ამტკიცებდნენ, როდესაც ბავშვს სახელს არქმევთ, მასში დებთ კოდს. შეიძლება ბავშვს მაგარი სახელი დაარქვათ, მაგრამ რეალურად სხვა რაღაც დაუძახოთ და საერთოდ გააფარჩაკოთ მისი ცხოვრება. ბოლო დროს (რატომღაც) მოდაში შემოვიდა სახელების კნინობითი ფორმები. ასეთი რამ ალბათ ოჯახში მისაღებია მოფერების მიზნით, მაგრამ როდესაც ახალგაზრდა ტელევიზორში გამოგყავს, წამყვანის ამპლუას ანიჭებ და „ეთუნის“ უწოდებ, იცოდე, ერთხელაც ის რაღაც დიდ სისულელეს ჩაიდენს. ჯერ ერთი, არ შეიძლება, ტელევიზია გააკეთოს მეთუთუნემ და მეორეც – არ შეიძლება, გადაცემების წამყვანებს ერქვათ: ეთერის ნაცვლად ეთუნი, თინას ნაცვლად თიკუნი, ეკატერინეს ნაცვლად ეკუნი, თამარის ნაცვლად თაკუნი, აღარაფერს ვამბობ „ტაკოზე“. ჰოდა, სჩადიან კიდევაც სისულელეებს მეთუთუნე ავთოსა და შავნოდარას მოწაფეები ყოველდღე პირდაპირ ეთერში. ჩამოგითვალოთ? რა პრობლემაა? თურმე საინფორმაციო გადაცემის წამყვანს, ეთუნი ინწკირველს ჰგონებია, რომ საქართველო ყაზახეთს ესაზღვრება და ჯიქურ გამოაცხადა, ეს რას ჰგავს, რა უბედურებაა, საქართველო-ყაზახეთის საზღვარზე უამრავი სატვირთო ავტომობილია გაჩერებული, უთუოდ კრიზისია, მეგობრებოო. თეა შაყულაშვილი ამ მომენტს ასე აფასებს და მეც ვეთანხმები:

„იიიი, მექანიკურად შეეშალა. ვერა“, „გონში“ თუ ხარ, სად მდებარეობს საქართველო, უბრალოდ ვერ შეგეშლება, რა ქვეყნები ესაზღვრება შენს სამშობლოს. ჭუტოვიჩის „ოტჩესტვო“ ხომ არ გეშლებათ მექანიკურად იმიტომ, რომ ეგ იცით.

საქართველო-ყაზახეთის საზღვარი... ზოგიერთი ყოველდღე ამტკიცებს, რომ უმარტივესების ევოლუციის შედეგი ვართ და ზოგმა მარტო ფორმა იცვალა“.

უვიცები ყველა დროში იყვნენ, განა არ იყვნენ? 1986 წელს დედა უნივერსიტეტის კარს რომ მივადექი, პირველად მაშინ გავოგნდი და გეტყვით, რაზეც... ბიჭები მოვიდნენ, ძაან მაგრადა ყელყელაობდნენ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრები ვართ, აქ რო ჩავირიცხებით, ჟურნალისტთა საკავშირო ორგანიზაციაშიც მიგვიღებენო. თქვენ გგონიათ, ეგეთები ცოტანი იყვნენ? ვინც კი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საბუთები შემოიტანა, თითქმის 50 პროცენტს ან კავშირის წითელი „დაკუმენტი“ ედო ჯიბეში, ან კიდევ ისეთ ჟურნალ-გაზეთში იყო გაფორმებული, იტყოდი, ამათ უნივერსიტეტი რაღაში სჭირდებათო? ხალხო, საბუთები შევიტანე, მივიხედე, მოვიხედე, იქაურობა მოვათვალიერე, მოყელყელავეებს მოვუსმინე და ვფიქრობ, ამის დედა ვატირე, ამ „პრაფესორებთან“ შედარებით მე ვინ ვარ? ამიღია თავი, ჩამოვსულვარ სოფლიდან, სრულიად მარტო, თან გამოცდებზე ვფიქრობ, თან ის მაწუხებს, ემანდ ავტობუსმა არ გამასწროს სოფლისკენ. ამათ რანაირად უნდა ვაჯობო? ჩემი კომპლექსიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მოყელყელავეთა არმია პირველივე ტურში ჩაიფეხვა და იცით, რატომ? მათ ეგონათ, რომ საქართველოს ყაზახეთთან ერთად ტაჯიკეთიც ესაზღვრებოდა. მეტიც, მათ საერთოდ არ იცოდნენ, ქაბული ვისი დედაქალაქი იყო. აღარაფერს ვამბობ ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაზე (რომელიც საერთოდ არ გაეგონათ, თუ გაეგონათ, ორი კაცი ეგონათ), მიქელანჯელოზე, ბოტიჩელზე, ტიციანსა და სხვებზე. კი, ეგეთები კი ჩაიფეხვნენ, ნოდარ ტაბიძეს და ნიკო ლეონიძეს ვერ გაუძვრნენ, მაგრამ ისინი შემდგომში მაინც წამოყელყელავდნენ ქართულ ჟურნალისტიკაში და იცით, რატომ? 1990-იანი წლებიდან ჩვენი ქალაქების (არა მხოლოდ ქალაქების) თითქმის ყველა ორღობეში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი და შესაბამისად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც. აი, იქიდან გაძვრნენ. გინდათ, დაგენიძლავოთ? დღეს რომ ასერიგად ყელყელაობენ და შავნოდარობენ, დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველას ორღობის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.



დიახ, თუ არ ხარ ორღობეში განსწავლული ჟჟჟუუურრრრნალისტი, მაშინ რანაირად უნდა დასვა კრიმინალი გიორგი (ჟჟჟოოორრრრიკ) რურუა სტუდიაში და ალაპარაკო სისულელეები? რატომ, რათა, რანაირად, შვილო, ეკა? მიშველაძეს მივმართავ, თავის დროზე „პირველ არხზე“ რომ იჯდა და ახლა კიდევ „ჭუტავიზიაში“ მოჯდა ქმართან ერთად. გიორგი რურუა: „მე მოლოდინი მქონდა როგორც ჩემი ქვეყნის შიგნით, ისე ჩემი ქვეყნის გარეთ იმათი მხრიდან, ვისაც ნორმალურ, ცივილურ და განვითარებულ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება. მე ვფიქრობ, რომ ჩემი დაკავება იყო დაშინების აქტი მოსახლეობის, ბიზნესმენების, ახალგაზრდების მიმართ, მაგრამ ამან საპირისპირო ეფექტი გამოიწვია, ასეა როდესაც იდეისთვის იბრძვი“.

ეკა მიშველაძე: „გაგაძლიერათ თუ არა ისე ამ ბრძოლამ? ბრძოლაა ხომ ეს ერთგვარი, თან იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ შენ ბუკვალურადაც მოგიწია იქ ბრძოლა, ისე შენც კარგად ჩხუბობ, კარგად იქნევ ხელებს“.

გიორგი რურუა: „დიდი მადლობა, ეკა, შენი და ბუკას, ასევე „ტვ პირველის“ ყურადღებას სულ ვგრძნობდი, ჩემი დამოკიდებულება თქვენი ოჯახის მიმართ კი იცით. წელიწადნახევარი ტყუილად გავატარე ციხეში. რატომ – არ ვიცი, ტყუილი ბრალდებით და ეს დამტკიცდა და ყველასთვის ნათელია – ნიშნისმოგებას აღარ ვაპირებ, წინ გავიხედოთ და ვიმუშაოთ, რომ ქვეყანა ამ კრიზისიდან გამოვიყვანოთ. მადლობა მინდა ვუთხრა ოპოზიციას, რასაც აკეთებს. მე მათი მჯერა და მწამს და ხელი უნდა შევუწყოთ“.

აბა, ახლა მითხარით, ამათი საუბარი ნორმალურია? კაცს სამი ოჯახის ამოწყვეტაში ადანაშაულებენ, რაც 1990-იან წლებში ჩაიდინა, ვიცით, ვინ იყო, რა იყო, რას წარმოადგენდა, მთელმა ქვეყანამ იცის და ეს გველაპარაკება, ჩემი დაჭერა ბიზნესზე და ახალგაზრდობაზე შეტევა იყოო, მომავალი თაობები უნდა დაეშინებინათო.

ჰა, ჰა, ჰა!

ხალხო, ამას ამბობს რურუა, სულ მცირე, სამი ოჯახის ამოწყვეტას რომ ედავებიან... ჩვენაო, ის ადამიანები, რომლებიც ცივილიზებულად ვაზროვნებთო, უნდა შევკავშირდეთ და ქვეყანა გადავარჩინოთ, კრიზისიდან გამოვიყვანოთო. შენ თუ ორღობეში განსწავლული ჟჟჟჟუუუურრრრნალისტი არა ხარ, ეგეთი ყაყიტა ადამიანი როგორ უნდა ალაპარაკო, ქალო? ჩემი აზრით, სჯობს, სიტყვებს ამახინჯებდე, ვიდრე რურუას მსგავსი დამნაშავეები ზემო თაროს წამოსვა და მორალზე ალაპარაკო. თან ჩიქორთული რუსულ-ქართულით მოუწონო, შენც „ბუკვალურად“ კაი ჩხუბი გცოდნიაო. ბუკას ცოლი იმ შემთხვევას გულისხმობს, რურუას რომ წაუთაქეს ციხეში და ხელების პარჭყვას მოჰყვა.

სხვათა შორის, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში რამდენიმე ინსტიტუტში მეც ვასწავლიდი ჟურნალისტიკის სპეციალობას. ყოველთვის ვთვლიდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე, მაგრამ ბოლოს ისეთებმა დაიწყეს პედაგოგობა, აქაც „გავჭედე“, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და მივატოვე.

იმ გაუგებარმა ეპოქამ დამანგრევლად იმოქმედა დღევანდელობაზე, ანუ ახლა ვიმკით იმას, რაც დავთესეთ... უფრო სწორად, რურუებმა რაც დაგვითესეს.

ჰმ... არადა, ისევ რურუაო, კაცოოო... მელადავებით?!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# თურმე შესაძლებელია, დღეს სამყაროში თევზის ჭერა გახდეს შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი

ფაშიზმის დამარცხებიდან 76-მა წელმა განვლო. ნიურნბერგის საერთაშორისო სასამართლო პროცესზე დამნაშავეები დაისაჯნენ, სამყაროში ნაციზმი აიკრძალა კიდეც, მაგრამ თურმე კვლავ ცოცხლობს ფაშისტური იდეოლოგია, ის არ განადგურებულა. ამის თქმის საფუძველს ცალკეულ ქვეყნებში ფაშისტების მიმდევრების გამოჩენა იძლევა. ისინი დემონსტრატიულად მარშირებენ ევროპის დიდ ქალაქებში



(მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების), ატარებენ ფაშისტურ სიმბოლიკას, ცდილობენ ჯალათების გმირებად წარმოჩენას... საგანგაშოა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები, რომელთა წინაპრები ებრძოდნენ „ყავისფერ ჭირს“ და დაამარცხეს კიდეც, გულგრილად უყურებენ სამყაროში ფაშიზმის რეანიმაციას. თუმცა, თემა ცალკე მსჯელობის საგანია.

ანალიტიკოსების შეფასებით, სამყაროში შექმნილმა ბუნდოვანმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გადაფარა ცალკეული ფაშისტური ელემენტების გამოჩენა. აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მსოფლიოში დღეს სხვა, გაცილებით დიდი საფრთხეებია, ერთ-ერთი მთავარი პანდემიაა, რომელთან საბრძოლველადაც ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო. თუმცა სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური სიტუაცია ამუხრუჭებს პანდემიასთან ეფექტურ ბრძოლა.ს

მთავარი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებთ მსოფლიოს პოლიტოლოგებს, არის ის, თუ როგორ დაარეგულირებს ურთიერთობას ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთთან და რუსეთთან. მათი შეფასებით, სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სამყაროს მომავალი პოლიტიკური ცხოვრების პროგნოზირება. აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ბოლო პერიოდში ჩინეთისა და რუსეთის მიმართ მკვეთრ გამონათქვამებს თავს არიდებს, რასაც ვერ ვიტყვით მის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენზე. ტელეკომპანია CNN-ის ეთერში მან განაცხადა: „ჩვენ გვინდა რუსეთთან, როგორც პროგნოზირებად ქვეყანასთან თანამშრომლობა, მაგრამ თუ მომავალშიც ასე გააგრძელებს პუტინი მოქმედებას, მოგვიწევს მკაცრი ზომების მიღება“.

ამერიკელი ექსპერტები ღიად აფიქსირებენ, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტში ხშირად განსხვავებული პოზიცია აქვთ ცალკეულ მოვლენებზე. იხსენებენ ერთი თვის წინანდელ შემთხვევას. სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნედ პრაისმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ უწყებაში განიხილავენ 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის ბოიკოტს, რომელიც ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართება. იგივე კითხვაზე ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსმა ჯენ ფსაკიმ უპასუხა, რომ თეთრ




სახლში არ უმსჯელიათ პეკინის ოლიმპიადის ბოიკოტირებაზე. თუმცა კოლეგა ბოლომდე არ გაწირა და განაცხადა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია გამოიყენებს ყველა საშუალებას ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ინაუგურაციიდან სამ თვეზე მეტი დრო დასჭირდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატისთვის რომ მიემართა. საერთოდ, მისი წინამორბედები მოხსენებას საქმიანობის დაწყებიდან 1–1,5 თვეში აკეთებდნენ. პანდემიის გამო პრეზიდენტის გამოსვლისას დარბაზში. უჩვეულოდ მცირე რაოდენობის საზოგადოება იყო. პოლიტოლოგების შეფასებით, ბაიდენის მიმართვა, რომელიც მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა, მოსაწყენი და მონოლითური იყო. ზურგს ორი ქალი უმაგრებდა — ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი და კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი. ქვეყნის მთავარ საფრთხედ ჯო ბაიდენმა პანდემია და თეთრი რასიზმი დაასახელა. ამის გარდა, კანონმდებლებს განსაკუთრებით სთხოვა, მალე (1 თვეში) დაასრულონ პოლიციის რეფორმაზე მუშაობა. პრეზიდენტს ჩინეთი არ უხსენებია. რუსეთთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან სატელეფონო საუბარი. „...მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ ჩვენ არ გვინდა რუსეთთან ესკალაცია“. ბაიდენის თქმით, აზრთა სხვაობის მიუხედავად, მზად არის, რუსეთთან ითანამშრომლოს. „...ვითანამშრომლებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“, — განაცხადა ბაიდენმა.

პანდემიის დაწყებიდან წლეულს პირველად პირისპირ შეხვდნენ „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები. სამიტს ლონდონი მასპინძლობდა. G-7-ზე სტუმრების სტატუსით მიიწვიეს ინდოეთის, სამხრეთ კორეის და ავსტრალიის წარმომადგენლები. ამ გარემოებამ ექსპერტებს ეჭვი აღუძრა — შესაძლოა, ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე არ არის. სამიტზე ძირითადი ყურადღება რუსეთისა და ჩინეთის შეკავების მეთოდების შემუშავებაზე გაამახვილეს, პანდემიასთან ბრძოლას კი საკმაოდ მცირე დრო მიუძღვნეს. თუმცა G-7-ის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება „კოვიდ-19“-ის არსებული ვაქცინების წარმოებაზე მოიხსნას პატენტის დაცვის მექანიზმი და ქვეყნებმა შეძლონ პრეპარატის წარმოება. ამ წინადადებას დაეთანხმა ჯო ბაიდენი. თუმცა ვაქცინების მწარმოებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს.

G-7-ის სამიტზე ბლინკენმა გერმანის მოსთხოვა, უარი თქვან გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ზე, რაზეც ევროპელი კოლეგისგან კატეგორიული უარი მიიღო... ლონდონიდან ბლინკენი კიევში ჩავიდა, სადაც უკრანის



პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის და ხელისუფლების სხვა წევრებს შეხვდა. „...აშშ არ დაუშვებს უკრაინის წინააღმდეგ დესტაბილიზაციის მცდელობას... უკრაინას უნდა დაუბრუნდეს, რაც ეკუთვნის“, — განაცხადა კიევში ბლინკენმა. თავის მხრივ ზელენსკიმ სტუმარს „ჩრდილოეთ ნაკადის“ მშენებლობის შეჩერება სთხოვა...

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ ლონდონი „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების მეთაურთა სამიტისთვის ემზადება, რომელიც ივნისშია ჩანიშნული. მსოფლიოს საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებს მომავალი სამიტი, რადგან ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიძლება მოხდეს ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრა. ამავე პერიოდშია დაგეგმილი ბრიუსელში ნატოს სამიტი. ასე რომ, ევროპაში პრეზიდენტის რანგში პირველ ოფიციალურ ვიზიტს განახორციელებს ჯო ბაიდენი. ჟურნალისტის კითხვას, შეხვდება თუ არა ევროპაში ყოფნისას პუტინს, ბაიდენმა უპასუხა: „...ამის დი-



დი იმედი მაქვს და მოუთმენლად ველოდები მასთან შეხვედრას“. თუმცა, ვნახოთ, ერთ თვეში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს და სიტუაცია რადიკალურადაც შეიცვალოს.

როდესაც ჯო ბაიდენი კანონმდებლების წინაშე მოხსენებით გამოდიოდა, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები დონალდ ტრამპის ადვოკატს რუდი ჯულიანის „ეწვივნენ“ სტუმრად ოფისში, ჩაატარეს ჩხრეკა, წაიღეს სხვადასხვა დოკუმენტები. მიზეზად სამართალდამცველებმა დაასახელეს ის გარემოება, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ რუდი ჯულიანი ცდილობდა უკრაინელი პოლიტიკოსების მოსყიდვას ჯო ბაიდენის საწინააღმდეგოდ. რუდი ჯულიანის შვილი ენდრიუ არ ეთანხმება ბრალდებას. მისი თქმით, ოფისში ჩხრეკის და, ფაქტობრივად, ზეწოლის რეალური მიზეზი ჯო ბაიდენის შვილზე ჰანტერზე მოპოვებული მაკომპრომეტირებელი მასალებია. თუმცა აღნიშნა, რომ ამით გამოძიება დღემდე არ დაინტერესებულა. თავად დონალდ ტრამპმა შექმნ საკუთარი სოციალური ქსელი, რომლის მეშვეობითაც აწვდის საკუთარ ინფორმაციებს მხარდამჭერებს. ეს მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „ფეისბუკმა“ დაბლოკა და არც აპირებს ტრამპის გვერდის აღდგენას. სოცქსელის მოქმედებას ტრამპმა „აშშ-ის უდიდესი სირცხვილი“ უწოდა.

თევზჭერა გასულ კვირას საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დაპირისპირების მიზეზი გახდა. განხორციელებული „ბრექსიტის“ შემდეგ ევროკავშირმა გარკვეული კვოტები დაუწესა ბრიტანელებს, რომელთა დარღვევასაც აბრალებენ ფრანგები მეზობლებს. ორივე ქვეყანამ შეიარაღებული 2–2- სამხედრო გემი მოიყვანა მზადყოფნაში. ევროკავშირმა მხარეებს სიმშვიდის და დიალოგისკენ მოუწოდა. საბედნიეროდ, მოხერხდა ინგლის-საფრანგეთის ახალი ომის თავიდან აცილება. თუმც ხინჯი კი დარჩა — თურმე შესაძლებელია, დღეს სამყაროში თევზის ჭერა გახდეს შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი. ასეთია სამწუხარო რეალობა.




**გია ბურდული**
551 71 27 07

# „იმუნო ჰერბი“ პანაცეა კორონა-ვირუსის წინააღმდეგ?




## გვესაუბრება ექიმი-ჰომეოპათი კახა საბახტარიშვილი

**— ბატონო კახა, კორონა-ვირუსი კვლავ რჩება ჩვენი ჯანმრთელობის მთავარ საფრთხედ. როგორც ჰომეოპათი, რას იტყვით ზოგადად აცრებზე და რომელ ვაქცინას მიანიჭებთ უპირატესობას?**

— გუშინ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად აღიარა „სინოფარმის“ ჩინური ვაქცინა, როგორც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება.

დიდი ხნის განმავლობაში, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც აზრთა სხვადასხვაობა იყო ჩინური ვაქცინების



ეფექტურობის შესახებ. ვრცელდებოდა სხვადასხვა მონაცემები მათ რეზისტენტულობასთან დაკავშირებით.

საქმე ის არის, რომ ეს ვაქცინები აბსოლუტურად განსხვავდება დამზადების ტექნოლოგიით იმ ვაქცინებისგან, რომლებიც ფართოდ არის უკვე გავრცელებული — „პფაიზერის“, მოდერნას“ „ჯონსონ & ჯონსონის“ და სხვებისგან.

ეს ვაქცინები, პრაქტიკულად, არის თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული საშუალებები, რომლებიც, ცხადია, უახლესია მედიცინაში.

ჩინური ვაქცინები კი დამზადებულია ზუსტად იმ ტექნოლოგიით, რომლითაც, ტრადიციულად, მზადდებოდა ვაქცინები ვირუსების წინააღმდეგ.

ჩინური ვაქცინა დაფუძნებულია ინაქტივირებულ, ანუ „მკვდარ“ კორონა-ვირუსზე.

ცნობილია, რომ ქიმიური რეაგენტის მეშვეობით ხდება ვირუსის ინაქტივაცია, ვირუსის მკვდარ უჯრედებში ცოცხალი რჩება გარკვეული მონაკვეთები. ამ მონაკვეთებითაა შექმნილი ვაქცინა, რომელიც შეიცავს ვირუსის ყველა მოლეკულას. ის შემდეგ, შეჰყავთ ადამიანის ორგანიზმში, რის მერეც ორგანიზმი თავისთავად გამოიმუშავებს ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტს. ამავე ტექნოლოგიით მზადდება დიფტერიის, ჰეპატიტის, პოლიომიელიტის, ყივანა-ხველას, ტეტანუსის და სხვათა საწინააღმდეგო ვაქცინები

ჩინური ვაქცინების გამოცდა მსოფლიოს 10-ზე მეტ ქვეყანაში მოხდა. მათ შორის, ისეთ მდიდარ ქვეყნებში, როგორებიც არის: არაბთა გაერთიანებული ემირატები, ბაჰრეინი, სერბეთი, არგენტინა და სხვები, ჩინური ვაქცინით აცრილებში გართულებები საერთოდ არ არის დაფიქსირებული. მაგრამ არის ერთი მაგრამ: როდესაც ხდება ცოცხალი ვირუსის განადგურება და ნარჩენების შეყვანა ორგანიზმში, ასეთი ვაქცინები არ იძლევიან ძლიერ იმუნიტეტს, რაც ნიშნავს, რომ მოსალოდნელია კვლავ დაინფიცირება, ოღონდ, შედარებით იოლ ფორმებში.

მაგალითად, „ჯონსონ & ჯონსონის“ მიღება ერთჯერადად არის საკმარისი. მაგრამ ჩინური ვაქცინა მეორე დოზაც უნდა მიიღოს პაციენტმა 20–21 დღის შემდეგ. რეკომენდებულია მესამე დოზაც.

მოკლედ, რაკი ჯანმომ ჩინურ ვაქცინას, ასე ვთქვათ, მწვანე შუქი აუნთო, პირადად მეც ჩინურ ვაქცინას ვუწევ რეკომენდაციას და შეგვიძლია უსაფრთხოდ ავიცრათ.

**— ბატონო კახა, ზემოთ თქვენ ჩამოთვალეთ ადრე გავრცელებული ვირუსული დაავადებები, რომლებიც ერთი აცრით ხდებიან უვნებელყოფილნი, რა არის ასეთი კორონა-ვირუსი, რომელსაც ორი კი არა, სამი აცრა სჭირდება: ეს თავად ვირუსის გამო ხდება თუ შტამი ვერ გამოიკვლიეს და ეფექტური პრეპარატი ვერ შექმნეს?**

— ვირუსი არის არასრულყოფილი ორგანიზმი, რომელსაც არ შეუძლია არსებობა სხვა ცოცხალი ორგანიზმის გარეშე — როგორც ცხოველების, ასევე ადამიანების. ცხოველებს ეს ვირუსი, სავარაუდოდ, წლების განმავლობაში აქვთ და მათი ორგანიზმი შეგუებულია ამას.

რაც შეეხება ვირუსს. როგორც გითხარით, მას ცოცხალი ორგანიზმი სჭირდება არსებობისთვის და ის თავად არის „დაინტერესებული“, ცოცხალი იყოს მისი მატარებელი სტრუქტურა. ვირუსის მატარებელი ორგანიზმის სიკვდილისთანავე ვირუსი კვდება.

**— ახალ ვირუსზე რას იტყვით, რომელიც ინდოეთში ახლახან გაჩნდა?**

— ვირუსები მუდმივად განიცდიან მუტაციას. ესეც მუტირებული ვირუსია, ოღონდ ორმაგად მუტირებული.

**— ჰომეოპათია როგორ ებრძვის ვირუსებს?**

— გაოცებული ვარ ერთი ფაქტით, რატომ არ იყენებს მსოფლიო მედიცინა ჰომეოპათიის მდიდარ გამოცდილებას. ჰომეოპათია 300 წელიწადია, რაც არსებობს და ძალზე ეფექტურია ვირუსული დაავადებების საწინააღმდეგოდ.

ყველაზე დიდი ეპიდემია შავი ჭირის შემდეგ იყო ისპანკა, რომელმაც დედამიწის მოსახლეობის 500 მილიონ ადამიანზე მეტი დაავადა. ვირუსი ვრცელდებოდა ელვისებურად.

ცნობილია, რომ კორონა-ვირუსი ყველაზე მეტად აზიანებს ფილტვებს. ისპანკაც ფილტვებს აზიანებდა, ოღონდ კორონა-ვირუსთან შედარებაც კი არ შეიძლება, იმდენად მძლავრი იყო ისპანკა. ის ფილტვის სისხლძარღვებს აზიანებდა ისე, რომ ადამიანები იხოცებოდნენ. ფაქტობრივად, საკუთარ სისხლში იხრჩობოდნენ და ეს ხდებოდა ძალიან სწრაფად. ისპანკით დედამიწაზე 70-დან 100 მილიონ ადამიანამდე გარდაიცვალა.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს,




რომ ჩვენი დიდი მხატვარი ნიკო ფიროსმანი, დიდი ალბათობით, ისპანკით გარდაიცვალა და, სავარაუდოდ, მისი საფლავი სწორედ იმის გამო არის გასაიდუმლოებული, რომ ისპანკით გარდაცვლილებს ისე ასაფლავებდნენ, როგორც შავი ჭირით დაღუპულებს.

ახლახან ხელში ჩამივარდა 1921 წელს აშშ-ში გამომავალი ჰომეოპათიური ასოციაციის ჟურნალის ერთ-ერთი სტატია, სადაც პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემდეგ შვეიცარიაში ისპანკით არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა. ევროპაში, სადაც ისპანკით გამოწვეული სიკვდილიანობა 30–40%-ს შეადგენდა, ბუნებრივი ჰომეოპათიური საშუალებების გამოყენების შედეგად ლეტალური შემთხვევები 1%-მდე შემცირდა.

მთელი ჩემი სამედიცინო მოღვაწეობის განმავლობაში სულ ვიკვლევდი: როგორ მოხდა ჰომეოპათიური საშუალებებით ისპანკის უკან დახევა და მივაგენი საშუალებებს, რომლითაც ხდებოდა ისპანკის მკურნალობა.

ძველ ქართულ მედიცინაში, მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“, „წიგნი სააქიმოიში“, „იადიგარ დაუდში“ აღწერილი არის მსგავსი ეპიდემიები, რომლებიც ძალიან წააგავს თანამედროვე რესპირატორულ, ვირუსულ დაავადებებს. იქვეა მოცემული სამკურნალო მცენარეების ჩამონათვალი. ავიღე ეს მცენარეები, მოვახდინე მათი სინთეზი ერთობლივად და დავიწყე ამ პრეპარატის გამოცდა ღორის გრიპის საწინააღმდეგოდ.

შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

ვინც ღებულობდა ჩემს მიერ შექმნილ პრეპარატს, ღორის ვირუსი ან არ ემართებოდა, ან თუ ემართებოდა, მსუბუქი ფორმით, ხოლო ვისაც ჰქონდა ღორის ვირუსი, ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიტანა იგი. კვლევების შედეგები მივიტანე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში და 2012 წელს პრეპარატი „იმუნო ჰერბი“ ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც სპეციალური ანტივირუსული, იმუნომოდულატორული საშუალება, ანუ წამალი, რომელიც შეიძლება მიიღო სამედიცინო კვლევებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე.

**— პირადად მე ვარ ცოცხალი მაგალითი „იმუნო ჰერბის“ სიკეთის. ჩემი იმუნიტეტი „იმუნო ჰერბმა“, რომ იტყვიან, ფეხზე წამოაყენა.**

— „იმუნო ჰერბი“ ყველა აფთიაქში იყიდება. აღმოჩნდა, რომ ვინც ღებულობდა „იმუნო ჰერბს“, კორონა-ვირუსი ან არ დაემართათ, ან გადაიტანეს მსუბუქი სიმპტომებით.

ამასწინათ აჭარიდან დამიკავშირდა 80 წლის მამაკაცი, რომელიც სისტემატურად იღებს „იმუნო ჰერბს“. ოჯახში მის გარდა ყველას დაემართა კორონა-ვირუსი.

„იმუნო ჰერბში“ შედის სამი კომპონენტი, რომლებიც ხელს უშლიან ვირუსის უჯრედში შეღწევას. თუ მაინც გაიპარა ვირუსი და შეიჭრა უჯრედში, „იმუნო ჰერბი“, თავისი შემადგენლობით, ხელს უშლის ფილტვის ანთების განვითარებას. თუ ვირუსმა ეს ბარიერიც გადალახა, „იმუნო ჰერბში“ შემავალი მესამე კომპონენტი — „ბელადონა“ აღარ აძლევს ფილტვის ანთებას გართულების საშუალებას.

**— ვინც გადაიტანა კოვიდ-ინფექცია, მათთვის რამდენად სარგებლიანია „იმუნო ჰერბის“ მიღება?**

— მნიშვნელოვანი შეკითხვაა და აი, რატომ: როდესაც ადამიანი გადაიტანს კოვიდ დაავადებას, მას გამოუმუშავდება ბუნებრივი ანტისხეულები ვირუსის საწინააღმდეგოდ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი იმუნიტეტი არის ძლიერი სხვა დაავადებების მიმართ. იმუნიტეტი კოვიდგადატანილ ადამიანს გამოუმუშავდა ერთი დაავადების მიმართ და არა სხვა ინფექციების მიმართ. ასეთ დროს მიღებული „იმუნო ჰერბი“, პრაქტიკულად, უჯრედულ იმუნიტეტს წევს მაღლა, ამავე დროს, „იმუნო ჰერბი“ კორონა ვირუსგადატანილ ადამიანებში აღნიშნული დაავადების რეციდივების წინააღმდეგ ეფექტურად მუშაობს.

ასე რომ, მე თამამად ვუწევ რეკომენდაციას „იმუნო ჰერბს“, როგორც ვირუსების საწინააღმდეგო ძალზე ეფექტურ საშუალებას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# შაქრო, მესამე ჭანჭიკი და დაჭყეტილი ტლალოკი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, საქართველოს მთავრობამ რეგიონებისთვის 500 მილიონი ლარი გამოყო და ეს კარგია-მეთქი. არ მითქვამს, ეს საკმარისია-მეთქი, უბრალოდ ვთქვი, რომ მომეწონა. ვფიქრობ, ბევრს მოეწონა, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც აყვირდნენ, ამ პანდემიის პირობებში რა დროს რეგიონებიაო? რას ამბობთ, ეხლა ბეტონი და ასფალტი ვჭამოთო? თქვენ ალაოდ ხომ არა ხართო?!

არადა, სწორედ ახლა, სწორედ პანდემიის პერიოდშია რეგიონული ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელი, რათა თავკომბალა ქალაქები (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) განვტვირთოთ, გავიდეთ, გავიშალოთ, გავნიავდეთ, ვიმუშავოთ, დოვლათი შევქმნათ, ბაღ-ბოსტნებს მივხედოთ და ასე შემდეგ. ამ თემაზე საუბარს ასე მალე აღარ ვაპირებდი, მაგრამ იძულებული გავხდი, ახლა თუ არ ვთქვი, მერე შეიძლება გვიანი იყოს: ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ სოფელში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესთებასთან ერთად შესაცვლელია მენტალიტეტი. აღდგომის დღეებში ვიყავი ჩემ სოფელში, გასაგებია, რომ სასაფლაოები ჩაკეტილი



იყო და ხალხი ვერ გავიდა, მაგრამ საკითხისადმი მიდგომა, აზროვნება და გაგება ხომ მაინც იგივე რჩება? დარწმუნებული ვარ, რომ არა 2000-ლარიანი ჯარიმა, არავინ დაემორჩილებოდა კანონის მოთხოვნას. ჩავატაროთ ექსპერიმენტი, გავავრცელოთ საგანგებო გაფრთხილება, არავითარი ჯარიმა, მხოლოდ გაფრთხილება, ყველა ფეხებზე დაიკიდებს. იცით, როგორი მიდგომაა? ჰა, ჰა, ჰა... პოლიცია მიცვალებულებს „ყარაულობს“, განა ამ საცოდავებს კი უნდათ? უბრალოდ ზემოდან ავალებენ! საკითხს უკუღმა ატრიალებენ, თურმე პოლიციელები მიცვალებულებს იცავენ და არა ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენი დარდი არ აქვთ, უბრალოდ ზემოდან ავალებენ, ვიღაცის ხუშტურებს აკმაყოფილებენ. არა, კაცო, კორონაც არ არსებობს, მოგონილია, ფულს აკეთებენ, როგორ აკეთებენ, ამას ვერ ამბობენ, მაგრამ მაინც აკეთებენ. აი, ვაქცინაცია ხომ უფასოა? ეგ არ ითვლება, მაინც ფულს აკეთებენ.

●

არადა, არც ფაქტებია, არც დამნახავია, არც მოწმეა, არც არავის გამოუძიებია. „ნაციონალები“ ყველგან აფურთხებენ საქმეში, რაც არ უნდა გაკეთდეს, ფასი და მადლი არ აქვს, ესენი მხოლოდ იმიტომ მოქმედებენ, რომ ხეირი ნახონ. აი, მიშას დროს სუ სხვანაირად იყო, ეგეთ რამეებ ვერ გაჰბედავდნენ.

რა იყო მიშას დროს სხვაინაირად? რაც ახლა კეთდება, მაგათ დროს ამის ნახევარი არ გაკეთებულა! ჩვენს საზოგადოებაში და მით უფრო რეგიონებში ხალხს ძალზე მოკლე მეხსიერება აქვს... ზოგიერთს ვეკამათები, რაღაცებს ვახსენებ, მაგრამ აშკარად სიჩლუნგე სჭარბობს:

— ადამიანო, ყველაფერს თავი დავანებოთ, 2008 წლის ომი გახსოვს?

— ჰო, მა რააა... ბომბები შირაქში ცვიოდა.

ვისაც ვეკამათები, იმის გვარსა და სახელს არ გავამხელ, მაინც ვერიდები... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს? დავარქვათ შაქრო, თანაც კოლექტიური შაქრო, რადგან ასეთები საკმაოდ არიან, უცნაურად ბევრნი მსჯელობენ.

ახლა კარგად გამიგეთ, ხაზგასმით ვამბობ: სოფელში ძალიან ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანი ცხოვრობს, არიან ნამდვილი ინტელიგენტები, სიკეთის ფასიც რომ იციან და ცხოვრებისეულ ნიუანსებშიც რომ მშვენივრად ერკვევიან, მე ამჯერად ვლაპარაკობ იმ „ფენაზე“ არაფრის გაგონება რომ არ უნდა და რასაც „ნაციონალები“ ჩააგონებენ, იმას რომ ღეროავენ. დიახ, სწორედ ასეთების ბრალია, ჩათლახ და უვიც „ნაციონალებს“ 60 დეგენერატი რომ გაჰყავთ პარლამენტში, პროვოკაციას პროვოკაციაზე რომ აწყობენ, არ შედიან, ქმნიან ე.წ. კრიზისს და საქმე იქამდე მიდის, თვეების განმავლობაში ვეხვეწებით, შებრძანდით საკანონმდებლო ორგანოშიო. ძალიან რთულია, ევროპელი დიპლომატები, თუნდაც ამერიკელები დაარწმუნო, რომ საქართველოში არჩევნებს აყალბებს არა ხელისუფლება, არამედ ე.წ. ოპოზიცია (მოსყიდვით, დაშინებით, სხვადასხვა მანიპულაციებით, საარჩევნო კომისიებში ჩანერგილთა წყალობით), მაგრამ არიან ისეთი გულმხურვალე, ისეთი გავარვარებული „ნაცები“, რომლებსაც არაფრის გაგონება არ უნდათ, ყველაფერი ეზიზღებათ, ყველაფერზე გული ერევათ. აი, სწორედ ასეთებზე მოგახსენებთ და მინდა, ძალიან კარგად აგიხსნათ, რა კატეგორიის წარმონაქმნებთან გვაქვს საქმე. როგორც ცხონებული კახი კავსაძე ამბობდა, თურმე ადამიანს თავში აქვს ორი ჭანჭიკი, რომლების მოშვება და მოჭერა, ანუ რეგულირება თავისუფლად შეიძლება, არ ყოფილა არანაირი პრობლემა. თუმცა ადამიანს თავში ასევე ჰქონია მესამე, შეუმჩნეველი ჭანჭიკი, რომლის დარეგულირება, გასწორება ან მოჭერა შეუძლებელი ყოფილა. როგორცა სჩანს, მესამე ჭანჭიკის მდგომარეობა დამოკიდებულია ცხოვრებისეულ გარემოებაზე, ჭკუაზე, სწავლა-განათლებასა და ალღოზე. ბატონი კახი ასევე იტყოდა ხოლმე, შეიძლება ადამიანმა ქიციც იცოდეს, ქიცმაცურიც, მაგრამ თუ ფაცმაცური არ იცის, „კაპეიკია“ მისი ფასი. ეხლა ვზივარ და ვფიქრობ, ხომ არ უკავშირდება ფაცმაცური თავისი არსით მესამე ჭანჭიკს? უთუოდ ეგრეა, თუკი მესამე ჭანჭიკი გაუსწორებელ-მოუჭერადია, მაშინ» რა თქმა უნდა, ის შედის ფაცმაცუროლოგიის კლასიფიკაციაში და ყოველივე კი ამტკიცებს, რომ ადამიანისთვის მხოლოდ ქიცისა და ქიცმაცურის ცოდნა არაფერს ნიშნავს. თქვენ გგონიათ, ვხუმრობ? სხვათა შორის, არც ბატონი კახი ხუმრობდა, როცა ქიცის, ქიცმაცურისა და ფაცმაცურის საკითხებს განიხილავდა. მე კი, მეგობრებო, კახეთში ხან ისეთ მოსაზრებას ვაწყდები, თანაც ისეთ მტკიცებულებით ფორმისას, შემდეგ დღეების განმავლობაში ვზივარ ტყემლის ხის ჩრდილში და ვფიქრობ: როგორ, რანაირად, რატომ და რისთვის? რათა, ხალხო, რათა?!

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამჟამად კახეთში რომ სეტყვის სეზონია, ალბათ იცით. ამას წინებზე ლაგოდეხი და ყვარელი რომ ჩარეგვა, ეგეც გეცოდინებათ. მართალია, 2015 წლის მაისიდან სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას» მიერ კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდა, მაგრამ ხან ისეთი საშინელება მოდის, შეჩერება უბრალოდ შეუძლებელია. აი, ეს მომენტი დაუჭერიათ „ნაცრეჟისორებს“, თავადვე გამოქლიავებულებს და გულუბრყვილოთათვის შთაუგონებიათ, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები ბიძინა ივანიშვილისაა, როცა საშიში ღრუბლები წამოვა, დაუშენენ და თავიანთი ვენახებიდან გლეხების ვენახებისკენ გადმორეკავენ ხოლმე.

გაიგონეთ? თურმე ბიძინა ივანიშვილი და სხვა მილიონერები ღრუბლებს გლეხების ნაკვეთებისკენ ერეკებიან!

ამაზე შაქროს ვეკამათები:

— შენა, კაცო, ხუმრობ?

— რა მეხუმრება? ეგრე იძახიან, სეტყვი საწინააღმდეგო დანადგარები სუ მაგათიაო, — მპასუხობს გაუღიმებლად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მართლა არ ხუმრობს. თუმცა რა ხუმრობა, როცა სხვებიც ეგრე მსჯელობენ?

— არა, რასაც იძახი, გჯერა? — არ ვეშვები შაქროს.

— ბიჭო, მე მჯერა თუ არა, რა მნიშვნელობა აქ? აგე, ტელევიზორში იყო, ხო ითქვა?

— სად ითქვა, რომელ ტელევიზორში? ეტყობა, შენ გვარამიას უსმენ. თუმცა არა მგონია, ეგ ეთქვა. ალბათ ინგა გრიგოლიამ გადმოსცა. ააა, არა, „ნაცებმა“ შთაგაგონეს?!



— რავი, რომელმა გადმოსცა, აღარ მახსომს... ერთი რამე მითხარი, თუ ეგ ტყუილია, მაგათი ვენახები რატო არ ისეტყვება?

— მაგათი ვენახები არ ისეტყვება?

— ჰო, ბიძინა ივანიშვილის ვენახები რატო არ ისეტყვება, ან კიდე სხვა ფულიანებისა?! — შაქროს ხმა უმკაცრდება, ჰგონია, გამომიჭირა.

— და ბიძინა ივანიშვილის ვენახები სად არი?

— მე რავი, გაიხედ-გამაიხედე, სუ მაგისი არ არი?

ხედავთ? შაქროს კონკრეტულად არ აინტერესებს, ბიძინას ვენახი აქვს თუ არა... როგორ, კაცს ამდენი ფული აქვს და ათასობით ჰექტარზე გაშენებული ვენახი არ ექნება? შანსი არ არი, ექნება. მეტიც, ყველა მარანი მაგისია, ყველა ქარხანა, გამოა სექტემბრის დასაწყისში, გამააცხადებს, ყურძენი 70 თეთრი იქნებაო, შეისყიდის ჩალის ფასად, წაიღებს საზღვარგარეთ და გაჰყიდის ოთუზზირად. გლეხებ რა? ტრაკში ქვა!

აი, დღევანდელი აზროვნება!

შაქროს ვპასუხობ: შე ყურუმსაღო, ჯერ ერთი, როცა ზემოდან კოხი მოდის, ყველას ვენახი ისეტყვება, ტლალოკი არავის ინდობს, მისთვის ფულიანიც და უფულოც ერთია. იცი, ტლალოკი ვინ არი? წვიმის, ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთია. იგი საკმაოდ მოწყალე ღმერთად ითვლება, მან მოგვცა ადამიანებს სიცოცხლე და სხვა საარსებო საშუალებანი. თუმცა ტლალოკი ხალხში შიშსაც იწვევს, რადგან მას შეუძლია, გამოგვიგზავნოს სეტყვა, ჭექა-ქუხილი, წყალდიდობა. ადრე ეს ღმერთი ადამიანთა კეთილდღეობისათვის ბავშვების მსხვერპლშეწირვას ითხოვდა. აცტეკურ იკონოგრაფიაში, როგორც წესი, ტლალოკს დაჭყეტილი თვალებითა და ეშვებით გამოსახავენ.

იცით... ადრინდელთან შედარებით ადამიანთა გონი ცოტაოდენ გაუმჯობესებულია, სეტყვის საწინააღმდეგოდ ბავშვებს აღარ/ვეღარ სწირავენ, მაგრამ როგორცა სჩანს, კაცობრიობის სულში მაინც დარჩა ამბოხის სურვილი — აიო, მილიანრების ვენახები რატო არ ისეტყვებაო? მეორე — შაქრო, ვისაც ფული აქ და ვენახს აშენებს, ის ზემოდან სეტყვის საწინააღმდეგო ბადესაც „ჭიმავს“, გაიგონე? მე კი გითხარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც ვერ გაიგონე, რადგან გულში ბოღმა გიტრიალებს, ვერ იტან, რაღაც ახალი რომ კეთდება... შენ გინდა, მიშა მოვიდეს, ამათ ვენახები წაართვას, ყველა ციხეში ჩაყაროს და მიწები გლეხებს დაურიგოს. ჰო, ფაბრიკები კიდე მუშებს. ეგ აღარ იქნება, შაქრო, აღარა-მეთქი, შე ყურუმსაღო!



და ბოლოს... რაც შეეხება სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებს, როგორც მახსოვს, მსგავსმა სადგურმა საქართველოში 25 წლის წინ შეწყვიტა არსებობა. განახლდა ვისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში? მაშინაც ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ პრემიერ-მინისტრი და 2013 წელს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაწყებული პროექტი სწორედ მან მიიყვანა ბოლომდე. სისტემის შექმნის უმთავრესი მიზანი კახეთის რეგიონში 600 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწების სეტყვისაგან დაცვაა. კახეთში დამონტაჟებული სისტემა წარმოადგენს ერთიან ავტომატიზირებულ კომპლექსს რომელსაც სეტყვასაშიშ კერაზე მყისიერი ზემოქმედება შეუძლია. კახეთში განთავსებულია 80 ერთეული სარაკეტო გამშვები დანადგარი, აქედან არც ერთი არ ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს. ხედავთ? არც ერთი არ ეკუთვნის-მეთქი. თუმცა, თქვენ გგონიათ, შაქროს გააგებინებ რამეს? მოგადგება და დაგიწყებს, შეიძლება მაგისი არ არი, მაგრამ უარ ვინ ეტყვის? გადაურეკამს უფროსსა, ეტყვის, ჩემი ვენახებიდან ღრუბლები შაქროი ვენახებისკენ გადარეკეო და მე შენ გეტყვი, უარ გაუბედამს ვინმე, აი!

ისე, ღირს კი ეგეთებთან რამეზე ლაპარაკი? არ ვიცი... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სოფლის მოსახლეობის ნაწილში მენტალიტეტია შესატრიალებელ-დასარეგულირებელი. სანამ ეგეთი აზროვნება იქნება, „ნაციონალებს“ ყოველთვის ექნებათ პარლამენტში საკმაო რაოდენობის ადგილები. აი, ჩვენ კიდე გვინდა, რომ „ნაციონალი“, როგორც ასეთი, საერთოდ გაქრეს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ლევან ვასაძე: ვაპირებ, დავუპირისპირდე იმ გლობალისტურ, ნეოლიბერალისტურ სისტემას, რომელიც ყვლეფს, აღატაკებს და აუზბედურებს ჩვენს ერს!“

**„...ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ეს ნაბიჯი, იმიტომ, რომ, მესმის, რამოდენა დარტყმის, უსამართლობის, ცილისწამების, კრიტიკის ობიექტი გავხდები ახლა. მაგრამ, რამდენადაც დაუჯერებელი უნდა იყოს, საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც არ სჯერა პატრიოტული პათოსის, ან იდეალიზმის, მე, უბრალოდ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ არჩევანი აღარ დამრჩა“,** — საჯაროდ განაცხადა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ რამდენიმე დღის წინ, რითაც ქართულ პოლიტიკაში თავისი შემოსვლა დააფიქსირა.

კარგია, რომ ლევან ვასაძემ პოლიტიკაში დამკვიდრების ნაბიჯი გადადგა და თავისი გამოსვლა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს წინაშე აღმართული გადაულახავი ბარიერის — გლობალიზმის შესახებ თამამი და ღია განცხადებების გაკეთებით დაიწყო.

როგორც ყველა პოლიტიკურმა იდეამ, გლობალიზმმაც გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებული რეციდივები შეიძინა, ამიტომაც გლობალიზმის სახურავის ქვეშ ქვეყნები და ადამიანები დღეს კარგავენ სუვერენიტეტს, ეროვნულობას და იდენტობას. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ლევან ვასაძემ საკუთარი თავის ახალ პოლიტიკურ ლიდერად გამოცხადების პირველ პრეზენტაცია-წარდგენაზე.

ვასაძეს არ უთქვამს, რომ წინააღმდეგია ევროპასთან, აშშ-სთან, დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის. მან აღნიშნა, რომ გლობალიზმი არის საფრთხე და ეს საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს.

კონკრეტულად, რა საფრთხეა ეს?

საფრთხე გულისხმობს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, დამოუკიდებელი მოქმედებების შეზღუდვას გლობალისტურ წრეში მოქცეული ქვეყნებისთვის.

ამაზე ილაპარაკა ამასწინათ რუსეთის საგარეო დაზვერვის უფროსმა სერგეი ნარიშკინმაც და თითქოს დროში დაემთხვა ლევან ვასაძის საჯარო დეკლარირება გლობალიზაციის მარწუხებში მოქცეული საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

**ლევან ვასაძე: „...სუვერენიზმი, როგორც მოვლენა, ვესტფალის შეთანხმების საფუძველზე, მე-17 ს-ის I ნახევრის დასასრულიდან წარმოიშვა, როდესაც ჩნდება ცნება „ნეიშენელ-სტეიტ“ — ნაცია-სახელმწიფო.**

**ამ კონსტრუქციაში ვცხოვრობთ მე და თქვენ და ვესტფალის ეროზია, ანუ სუვერენიტეტის ეროზია, სამი ტოტალიტარული იდეოლოგიის ნახელავია: ფაშიზმის, მარქსიზმის და ლიბერალიზმის. ეს სამივე არის ერთმანეთის ტყუპის ცალი და ნათესავი სამ თვისებაში — პირველი: არც ერთი მათგანი არ აღიარებს ნაციონალური სახელმწიფოს პრიმატს. მათ იდეოლოგიაზე მაღლა, მეორე, სამივეს სძულს რელიგია და განსაკუთრებით, ქრისტიანობა და მესამე: ფაშიზმიც, მარქსიზმიცა და ლიბერალიზმიც არ სჯერდება პლანეტის არც ერთ ნაწილს. თითოეულ მათგანს სურს სრული პლანეტა.**

**ამიტომ სუვერენიტეტის დანგრევა, ეროზია, განადგურება, არის მოდერნის, როგორც მოვლენის, რომელიც იწყება რენე დეკარტიდან და მთავრდება პარიზში 1968 წელს და იწყება პოსტმოდერნიზმი. ეს არის ერთიანი პროცესი და ამაში ახალი არაფერი არ არის“.** — თქვა ლევან ვასაძემ და იქვე დასძინა, ჩემთვის მოთმინების ფიალის ბოლო წვეთი შარლ მიშელის მიერ შედგენილი დოკუმენტი იყო, რომელსაც ქართველმა პოლიტიკოსებმა უსიტყვოდ მოაწერეს ხელიო.

კაცმა რომ თქვას, მთლად სახარბიელო მართლაც არ იყო შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმომწერთა რიგში მდგარი ჩვენი პოლიტიკოსების ყურება.

ეს მართლაც არ ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს — დამოუკიდებელი ქვეყანა თავის გადაწყვეტილებებში უნდა იყოს დამოუკიდებელი და ერთპიროვნული, როგორც სახელმწიფო.

დღეს ხშირად ლაპარაკობენ, რომ საქართველომ გადაიგდო „სოციალისტური მონობის უღელი“ გასულის საუკუნის 90-იან წლებში და დღეს ის თავისუფალია, როგორც ჩიტი, მაგრამ რეალობა სულ სხვაა — თავი დავანებოთ იმას, რომ, თუ, ვთქვათ, ჩვენი ქვეყანა მონობის უღელქვეშ იტანჯებოდა საბჭოთა კავშირში მონობისგან, როგორც ჩაგრულის სინდრომისგან თავის დაღწევას ასე მალე მენტალურად რომ ვერ მოახერხებდა (და ვერც მოახერხა), ისედაც მოსალოდნელი იყო. ამასობაში გამოჩნდა გლობალიზმი თავისი სუპერსახელმწიფოებით და მოექცა ქვეყანა სრული ეკონომიკური მონობის ქვეშ.

როგორც ვთქვი, სხვანაირად შეუძლებელიც იყო: — ათეული წლების განმავლობაში საქართველო არ აწარმოებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას, არ ჰქონდა კერძოდ მისთვის, საკუთარი ხელით შედგენილი ქვეყნის განვითარების კონცეფცია და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო-ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა და დღეს ვხედავთ, რომ ეს დაბნეული, დაბეჩავებული, გზადაბნეული ქვეყანა გლობალიზმის მარწუხებში უფრო საცოდავად გამოიყურება.

რა განსხვავებაა სსრკ-ის მონობასა და გლობალიზმის მორჩილებაში, ეს ცალკე საკითხია, თუმცა დასკვნა ერთია: მონობა და მორჩილება დამოუკიდებლობას არ ნიშნავს. მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანა უცხო ქვეყნების სესხებზე და საბანკო დოტაციებზეა დამოკიდებული და თავად ვერაფერს ქმნის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად.

**ლევან ვასაძის** აზრით, **„..უვა-**



## ერთობა, რაობა, იმედი

**ლებოდ ვიყავით და დღეს ვხედავთ, აბსოლუტურ ამოღრჩობას ჩვენი მოსახლეობისა ვალებში. განათლების სისტემა, რომელიც, ასეთუ ისე, გამართული გვქონდა, თითქმის განადგურდა, 1500 ქარხანა რომ გვქონდა, ახლა რამდენიმეა დარჩენილი, ყველაფერი, რასაც მოვიხმართ, არის შემოტანილი ქვეყანაში და ნაყიდი ვალში.**

**შეხედეთ: რაც გაცვიათ, რაც დგას ამ სტუდიაში, რაც გვიღებს და ჰკითხეთ თქვენს თავს, რა არის ამ ყველაფრიდან საქართველოში ნაწარმოები... ყველაფერი არის ნაყიდი კრედიტში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იხრჩობა, ამიტომ, თუ მკითხავთ, ეს არის დიდი ტრაგედია“.**

მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც კითხვის ნიშნად სვამენ ლევან ვასაძის პერსონიფიცირებისას ანტაგონისტურად განწყობილი ელემენტები საქართველოში. ეს არის რუსეთი და რუსული ფაქტორი.

**ლევან ვასაძე: „მთავარი არის ის, რომ ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი უტვინო, გამყიდველი ე.წ. ელიტის წყალობით, ვერ შევძელით გვექცია საქართველო არა პოლიგონად სუპერსახელმწიფოების კოლიზიისა, საქართველოს ერთმანეთში გაგლეჯისა, არამედ ოაზისად მათი თანამშრომლობის.**



**...მთავარი შეცდომები ჩვენ დავუშვით, როდესაც ძალადობრივი გზით დავამხეთ, მოგვწონდა თუ არ მოგვწონდა, პირველი ეროვნული, დემოკრატიულად არჩეული ქართველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ვაწამეთ ის, მოვკალით, ვაბრალეთ, თავი მოიკლაო, დღემდე არ გამოიძიეთ, რა მოხდა და დავაყენეთ კარუსელი არალეგიტიმური, გამყიდველი მთავრობებისა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი ჯიბეების გასქელებით და თავისი ჩინოვნიკების გამდიდრების ინტერესებით იყვნენ დაკავებული.**

**...რუსეთთან კონსენსუსის, პირდაპირი დიალოგის გარეშე დავიბრუნებთ ცხინვალს და აფხაზეთს?**

**...თუ ჩვენ არ ველაპარაკებით ჩვენს ოკუპანტს, ალბათობა იმის, რომ ჩვენ დავაბრუნებთ სახლებიდან გამოყრილ ხალხს, არის ნულის ტოლფასი.**

**ნატოც, ევროკავშირიც, ჩინეთიც, არაბეთიც, თურქეთიც, ირანიც, რუსეთიც, არის შესაძლო საშუალებები და გზები ტერიტორიების დაბრუნების.**

**...დაახლოებით, სამი თვის წინ მე ვესაუბრე ერთ-ერთ წამყვან ანალიტიკოსს, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს.**

**მე ერთ-ერთი ადამიანი ვარ იმ 700 000-დან, რომელიც მოძრაობს რუსეთში, ლაპარაკობს რუსულად რუსებთან და ეუბნება მათ: დაგვიბრუნეთ ცხინვალი და აფხაზეთი და ამის სანაცვლოდ, ვიყოთ მეგობრები და ჩემი თანამოსაუბრე, არ ვიცი, მატყუებს თუ არა, არც აქვს ამას მნიშვნელობა, რომ ვეკითხები: როგორ შეიძლება, რამენაირად დაგვიბრუნდეს ეს ტერიტორიები, გაუქმდეს ვიზები და ა. შ. ეს კაცი მპასუხობს: იმ დღეებში, როცა გამზადებული იყო გადაწყვეტილება ვიზების გაუქმებასთან დაკავშირებით და რუსეთის პრეზიდენტს უნდა გამოეცხადებინა ამ გადაწყვეტილების შესახებ, გამოვიდა თქვენი ე.წ. ერთ-ერთი ჟურნალისტი და დედა აგინა მას პირდაპირ ეთერში...**

**ყოველ ჯერზე, როდესაც ჩნდება რაიმე ნიშანი ჩვენს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა, ის მანქანები, რომლებიც ყარაულობენ ამ კონფლიქტს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეორე მხარესაც და ეს ადამიანი მეკითხება: რა საოცარი დამთხვევაა, რატომ მოხდა ესო?!**

**ასეთი დაბლოკვებაა, რომ არ მოხდეს არავითარი პროგრესი და მე მესმის ასეთი დაშხამულ, პროვოკაციულ, ასეთი პროპაგანდის ფონზე რამდენად სახიფათო იყო წლების განმავლობაში ჩემი პოზიცია. საზოგადოების წევრისა, რომელსაც უნდოდა და უნდა ამ ბლოკადის გარღვევა, რადგან სხვა გზას, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, ვერ ვხედავ.**

**...ჩემი მიდგომა, რომ (რუსეთთან) აუცილებელი არის დიალოგი, არის გამწარებული პრაგმატიკოსის პოზიცია, რეალისტის პოზიცია.**

**მე ვამბობ ანა-ბანას, როგორც ორჯერ ორი ოთხია: გვინდა დავიბრუნოთ ცხინვალი და აფხაზეთი, მოგვწონს თუ არა, უნდა ველაპარაკოთ რუსეთს“.**

არ შემიძლია, არ დავეთანხმო ლევან ვასაძეს და, იმის მიუხედავად, რომ მეც ვამბობ: დიახ, რუსეთი ოკუპანტია, აქვე დავძენ: ამ დეფინიციის ძახილი დაკარგულ ტერიტორიებს რომ ვერ აბრუნებს, უკვე წლებია დავრწმუნდით, ამიტომ ლევან ვასაძის მოსაზრებები ამ კუთხით, როგორც მომავალი პოლიტიკური ძალის ლიდერის, პოზიტიურ ელემენტებს შეიცავს. პირდაპირი დიალოგი აუცილებელია, მაგრამ ამის პრეცედენტიც არ არსებობს, არათუ ვინმემ, პერსპექტივაში, „გაგვიშვას“ პირისპირ შეხვედრაზე. ევროკავშირი-ნატოს მედიაციის გარეშე თქვენ რუსეთს ვერ დაელაპარაკებითო..

საბოლოო ჯამში კი მოხდა ისე, რომ ევროკავშირის და დასავლეთის მედიაცია-ფასილიტაციის გარეშე ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთსაც ვერ ელაპარაკებიან პარლამენტში და პარლამენტს გარეთ. ოპოზიცია ცდილობს პრობლემები შეუქმნას პარლამენტის მუშაობას, რითაც, თითქოსდა, ოპონენტ პარტიას უქმნიან დისკომფორტს, სინამდვილეში ქვეყნის მართვის საქმეს უშლიან ხელს. ამ და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ცხადი ხდება ვასაძის განცხადებები პრეზიდენტის როლის გაძლიერებისთვის საქართველოს ხელისუფლებაში და კვლავ საპრეზიდენტო მოდელზე გადასვლის შესახებ.

მოგეხსენებათ, საქართველოს ხელისუფლება საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო ქვეყნად „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას გადავიდა მხოლოდ ერთი და შეფარული, თუმცა აშკარა მიზეზით — რადგან მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუციით უფლება არ ჰქონდა, მესამე ვადით გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი, ის უნდა გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი და „ემეფა“ სიცოცხლის ბოლომდე...

ნახეთ, რას ამბობს **ლევან ვასაძე**: „**...ჩვენ გვჭირდება დემოკრატიული, ხალხის მიერ არჩეული, ძლიერი პრეზიდენტი და არა მარტო ის.**

**მე, რახან პოლიტიკაში შემოვედი, შესაძლებელია, რომ მე გავხდე კიდევაც პრეზიდენტი, მაგრამ ამისთვის არ მოვსულვარ.**

**...მე მოვედი იმისთვის, რომ მოვახდინო ინიციაცია იმ ეროვნული, კონსერვატიული დღის წესრიგის, რომელიც, ჩემი აზრით, არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა. ვაპირებ, დავუპირისპირდე იმ გლობალისტურ, ნეოლიბერალისტურ სისტემას, რომელიც ყვლეფს, ალატაკებს და აუბედურებს ჩვენს ერს!**“

ფრაგმენტები ლევან ვასაძის სატელევიზიო გამოსვლიდან მოვიტანე, სადაც მან ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის „**ერთობა, რაობა, იმედის**“ საზოგადოებისთვის წარდგენის შემდეგ ისაუბრა ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილთან.

„ვუყურებ ახლა ირაკლი იმნაიშვილის დიალოგს ლევან ვასაძესთან და ასეთი იდიოტური ნარატიდაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობები და მომხრეა მეგობრული, პარტნიორული დამოკიდებულების ყველა მეზობელთან.

ვასაძის გამოჩენას პოლიტიკურ წრეებში დიდი ხმაური ჯერჯერობით არ გამოუწვევია, თუმცა, სავარაუდოდ, ახალი აქტორის „დაბადება“ არ მოეწონებათ, პირველ რიგში, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ჯგუფებსა და სუბიექტებს, თუნდაც იმიტომ, რომ ლევან ვასაძე იმთავითვე ორიენტირებული იყო კონსერვატიულ ძალებზე ქართულ საზოგადოებაში, რომელიც, უნდა ითქვას, რომ ჩვენნაირი ტიპის ქვეყნებში, მცირერიცხოვან და ტრადიციულ ერებში, განსაკუთრებით ჭარბია და მგრძნობიარე თემად ითვლება.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მას გაუჭირდება ქართული პოლიტიკური რკალის გარღვევა, თავად ვასაძისავე ხასიათიდან გამომდინარე: ის ყოველთვის იწყებდა და საქმეს მერე მიატოვებდა ხოლმეო, ამბობენ.

მოარულ ხმას თუ დავუჯერებთ, ვასაძის ახალ პარტიაში ნამოხვანჰესის აქტივისტი ვარლამ გოლეთიანიც იქნება, ხოლო მთავარ პოლიტიკურ ფიგურანტებად ექს-პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ვასაძის ბავშვობის მეგობარია და გია გაჩეჩილაძე — „უცნობიც“.

ზოგიერთი ლევან ვასაძეს, სარკასტულად, კამელოტის მეფე არტურის მიერ ნაკურთხ რაინდს უწოდებს გამორჩეული პრეზენტაბელურობისა და პომპეზურობის გამო.

ფაქტი კი ერთია — თუ ლევან ვასაძემ მართლაც მტკიცედ გადაწყვიტა პოლიტიკაში ღიად შემოსვლა,



ვი აირჩიეს — თურმე, თუ რუსებმა გამოაცხადეს სუვერენიტეტის, ანუ დამოუკიდებლობის პოლიტიკა, ამიტომ, ვინც თავისი ქვეყნის სუვერენობისთვის იბრძვის, არის პრორუსი.

ეტყობა, დიდი გონებრივი დაძაბვა დასჭირდათ, სანამ ასეთ „გენიალურ“ მიგნებამდე მივიდოდნენ. ინტერვიუს დროს ჟურნალისტმა 50-ჯერ ახსენა რუსეთი.

ასეთი „მაღალი“ დონის აზრები ისმის... პროფესიონალი გესლის მნთხეველებისგან“... — თქვა პოლიტიკის ანალიტიკოსმა **სოსო მანჯავიძემ** ლევან ვასაძის გამოსვლის შემდეგ.

მომავალ და ახალ პოლიტიკურ სუბიექტს პრეზენტაციისას და არც ადრე, სხვა გამოსვლების დროს არსად დაუფიქსირებია გამორჩეული სიმპათია რუსეთის სახელმწიფოს მიმართ, თუმცა, რადგან, ლევან ვასაძეს ბიზნესების ნაწილი რუსეთში აქვს, ეჭვი უჩნდებათ, რომ ის შეიძლება რუსული პოლიტიკის პროექტის ნაწილი იყოს. ლევან ვასაძე კი აცხადებს, რომ მას არ სურს არც ერთ მეზობელთან ეს დიდ გარდატეხას გამოიწვევს: ნიშა, რომლის დაკავებაზეც განაცხადა პრეტენზია ლევან ვასაძემ, საქართველოში დღემდე ცარიელია. კონსერვატიული, ტრადიციული და წმინდად პატრიოტული ძალები ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილ ფართო პოლიტიკურ მოედანზე 90-იანი წლების ქაოსის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა პირწმინდად „გადახნა“ და მოასწორა. ლევან ვასაძისთვის ეს მინდორი ნოყიერი და აუთვისებელი ნიადაგი შეიძლება გახდეს იმის მიუხედავად, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა ამ ველზე განავარდების წარუმატებელი მცდელობა. თუმცა ყველაფერ ამას დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდება, როგორც ყამირს, ასევე ფინანსური რესურსები, თანმიმდევრული მუშაობა, საერთაშორისო კავშირები და ახალი ტიპის ავტორიტეტი თვით ამ ახალი ორგანიზაციის ლიდერის თუ ლიდერებისგან. დანარჩენს კი, რაც მოხდება, მომავალი გვიჩვენებს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „კოლექტიური პილატეები“ და ორი გზა



ვნების კვირის შაბათი სახლში გავატარე. ეკლესიაში წასვლაზე, ადრევე უარი ვთქვი. გადავწყვიტე ტელევიზიით მედევნებინა თვალი სააღდგომო ღმრთისმსახურებისთვის.

არ ვიცი რომელმა არხმა, 1977 წელს გადაღებული „იესო ნაზარეველი“ (https://clck.ru/UjPHV) შემოგვთავაზა.

თავიდან ბოლომდე ვუყურე ფილმს, რომელიც არაერთხელ მინახავს, ბევრი მიფიქრია მასზე, მაგრამ ამჯერად სულ სხვანაირად აღვიქვი იგი.

ამჯერად, რომაელმა (იმჟამად ებრაელთა სამშობლოს დამპყრობელმა) პროკურატორ პილატემ და მისმა მსჯელობებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

გვიან მივხვდი, რომ, ეს არ არის გასაკვირი, რადგან 2000 წლის შემდეგ, საქართველოში მეორდება ისტორია, სადაც „კოლექტიური პილატეები“ მსაჯულობენ, ისინი განსჯიან და წყვეტენ, თანამედროვე, ქართველი „იესოს“ და ქართველი „ბარაბას“ ბედს!

რამდენჯერმე დავატრიალე რომაელი პილატეს და იუდეველთა სულიერი მამების კამათის სცენები, სადაც რომაელი პილატე თავგამოდებით ცდილობს უცოდველი იესოს გადარჩენას, ებრაელთა სულიერი მამები კი, იესოს დასჯას და „ყაჩაღი და კაცისმკვლელი ბარაბას“ შეწყალებას მოითხოვენ!

მიუხედავად, რომაელი პილატეს დიდი ძალისხმევისა, ებრაელები თავისას გაიტანენ, უდანაშაულო იესოს გაწირავენ, ყაჩაღ და კაცისმკვლელ ბარაბას შეიწყალებენ!

ვაი ჩვენს ბედს, 2000 წლის შემდეგ იგივე განმეორდა ჩვენს ქვეყანაში, როცა დღევანდელმა „კოლექტიურმა პილატეებმა“, 2000 წლის წინანდელი, „რომაელი პილატესგან“ განსხვავებით, უპირობოდ გაათავისუფლებინეს თანამედროვე ქართველი „ბარაბა“ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც წინასწარ განაცხადა რომ, მას ამ ნაბიჯის გადადგმას აიძულებენ, მაგრამ თუ კი იგი ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება, ამას უთუოდ იზამდა!

დააკვირდით: 2000 წლის წინ, რომაელ დამპყრობთა პროკურატორმა, მიუხედავად ებრაელთა დაჟინებული მოთხოვნისა, არ დასაჯა იესო და მისი ბედი ებრაელებს მიანდო, რომლებმაც ავაზაკი ბარაბა შეიწყალეს!

შეადარეთ: 2000 წლის წინანდელი „პილატე“, აშშ-სა და ევროგაერთიანების მიერ საქართველოში მოვლენილ „პილატეებს“, რომლებსაც ქართველი ხალხი არც ახსენდებათ და პირდაპირ ავალებენ ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს და პრეზიდენტს:

უცოდველი ქართველები კი არა,



ყაჩაღი და კაცისმკვლელი ქართველი „ბარაბები“ შეიწყალონ, თორემ, მათ პრობლემები გაუჩნდებათ!

(გაიხსენეთ: ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის ვიცე-პრეზიდენტ რობინ შეპარდის უაპელაციო განცხადება: „კონგრესს აქვს ბერკეტები, რომ საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს“.)

როგორც ზემოთ ვახსენე, ფილმი ბოლომდე ვნახე. სააღდგომო ეპისტოლეც მოვისმინე, პირჯვარიც გადავისახე, ქვეყნის და მისი მოსახლეობის გადარჩენაც შევთხოვე უფალს, მაგრამ ერთი კვირაა არ მძინავს:

რომაელი „პროკურატორი პილატე“ მესიზმრება, 2000 წლის წინ ებრაელი ერის „სულიერ მამებს“ მათსავე შვილს, უცოდველ იესოს, რომ არ უთმობდა სასიკვდილოდ, მაგრამ ებრაელებმა ყაჩაღი და კაცისმკვლელი ბარაბა შეიწყალეს მაინც!

სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული ისტორია, აქ არ მთავრდება:

2000 წლის წინ, ერთ ბარაბას ანაცვალეს ებრაელებმა უცოდველი იესოს სული, საქართველოში კი, „ბარაბების“ არმია დგას რიგში, ევრო-ამერიკელ „პროკურატორ-პილატეების“ ოფისებთან!

2000 წლის წინანდელი ებრაელი ერის არ იყოს, დიდი იმედი არ მაქვს, ჩვენ, ქართველებმა უკეთესი გზა ავირჩიოთ.

არადა, საქართველოს ერთადერთი, ხალხის არჩეული პრეზიდენტი, სულმნათი ზვიად გამსახურდია 1990 წლის 26 მაისს გვაფრთხილებდა, რომელ გზას უნდა გაჰყოლოდა ქართველი ერი:

„ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა. აი გზა ილია მართლისა, აი გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი გზა დემოკრატიისა, აი გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი გზა ტერორიზმისა!

აირჩიე ქართველო ერო, აირჩიეთ ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!

გაიღვიძე, ქართველო ერო!

გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!“

დღევანდელობისგან განსხვავებით, ვერავინ იტყვის 31 წლის წინ, არჩევანის თავისუფლება არ გვქონდაო!

სამწუხაროდ, ღმრთის პირით ნალაღადევი შეგონება უარვყავით მაშინ და ასე აღმოვჩნდით ცხრა მთას გაღმიდან მოსულ გამრიგეთა ხელში.

ამასობაში, ზემოთნახსენები „კოლექტიური პილატეები“ მოთმინებით ელოდებიან შესაწყალებელ „ავაზაკ ბარაბებს“!

თითქოს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც 2000 წლის წინანდელ ისრაელში. ოღონდ, ისრაელისგან განსხვავებით, ქართველს არავინ ეკითხება ვინ უნდა შეიწყალონ:

იესო ღმერთკაცი, თუ ბარაბა ავაზაკი!

**დავით ქობალია**
598 70 86 00

# ლედი მიანმიდან – დემოკრატიისთვის მებრძოლი

### ამბოხებულის ქალიშვილი

აუნ სან სუ ჩჟი 1945 წლის 19 ივნისს ბირმაში დაიბადა, რომელიც მაშინ ბრიტანეთის კოლონია იყო. მისი მამა აუნ სანი ამბოხებულთა ლიდერი იყო, მან ბირმის არმია შექმნა და ცდილობდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აუნ სანი ჯერ კიდევ მაშინ მოკლეს, გოგონა ორიოდე წლის რომ იყო.

ბავშვი დედასთან და ძმებთან იზრდებოდა, დადიოდა მეთოდისტურ საშუალო სკოლაში, სადაც ინგლისურ, ფრანგულ და იაპონურ ენებსაც სწავლობდა. როცა აუნ სან სუ ჩჟი 15 წლის გახდა, დედამისი კხინ ჩჟი ბირმის ელჩად დანიშნეს ინდოეთსა და ნეპალში.



გოგონა დედასთან ერთად გაემგზავრა ნიუ-დელიში, სადაც უნივერსიტეტი დაამთავრა სპეციალობით — პოლიტოლოგია.

სუ ჩჟიმ გადაწყვიტა, სწავლა გაეგრძელებინა და ოქსფორდში გაემგზავრა, სადაც ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. იქვე შეხვდა თავის მომავალ ქმარს — ბრიტანელ ტიბეტოლოგს და ბუდოლოგს მაიკლ ვაილანკურ ეირისს. წყვილი დაქორწინდა და ლონდონში დასახლდა. მათ ორი ვაჟი შეეძინათ. სუ ჩჟი განაგრძობდა სწავლას ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევების სკოლაში, რათა ბირმის ლიტერატურის დარგის მაგისტრის ხარისხი მოეპოვებინა.

### თავისუფლებისთვის მებრძოლი

1988 წელს აუნ სან სუ ჩჟი სამშობლოში გაემგზავრა, რათა ავადმყოფი დედისთვის მოევლო. სწორედ იმ დროს გადადგა ბირმის მმართველი პარტიის ხელმძღვანელი გენერალი ნე ვინი. ქვეყანაში დემოკრატიის დასამყარებლად მასობრივი მიტინგები დაიწყო. აუნ სან სუ ჩჟი დედაქალაქში გამართულ დემონსტრაციაზე სიტყვით გამოვიდა და მთავრობას ავტორიტატიზმზე უარის თქმისკენ მოუწოდა.

პროტესტი სასტიკად ჩაახშვეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ქვეყნის სათავეში სამხედრო ხუნტა მოვიდა და სუ ჩჟის შინაპატიმრობა მიესაჯა. სუ ჩჟი პოლიტიკურ მოღვაწეობას დაუბრუნდა და დააარსა პარტია ნაციონალური ლიგა დემოკრატიისთვის. საყოველთაო არჩევნებში 1990 წელს სუ ჩჟის პარტიამ ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მოიპოვა, რაც პარლამენტში ადგილების 80%-ს უდრიდა. სამხედროებმა შედეგები გააუქმეს და ძალაუფლების გადაცემაზე უარი თქვეს. მიანმიში კვლავ პროტესტები დაიწყო, აუნ სან სუ ჩჟი კვლავ შინაპატიმრობაში აღმოჩნდა.

მიანმის ავტორიტარიზმისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობისთვის 1991 წელს აუნ სან სუ ჩჟი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. მისი სახელით ჯილდო მისმა შვილებმა მიიღეს, ფულადი პრემიით კი — 1,3 მლნ დოლარი სუ ჩჟიმ შექმნა ჯანდაცვისა და განათლების ფონდი მიანმის ხალხისთვის.

### მძევალი საკუთარ ქვეყანაში

ამჯერად სუ ჩჟი დიდხანს დარჩა პატიმრობაში საკუთარ სახლში — მასთან არ უშვებდნენ პოლიტიკურ მხარდამჭერებს და უცხოელებს, იშვიათად ხვდებოდა ქმარს, რომელიც მასთან ჩადიოდა. სუ ჩჟი ბევრს კითხულობდა იმ წიგნებს, რომლებსაც ქმარი უგზავნიდა. სწორედ მაშინ დაიწყო მან ბუდისტური მედიტაციის შესწავლა და დაწერა წიგნი, რომელშიც მსჯელობდა, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ადამიანს ბუდიზმის პრინციპები ავტორიტატიზმისგან გათავისუფლებაში.

უკანასკნელად სუ ჩჟიმ მეუღლე 1995 წელს ნახა. ეირისს ორი წლის შემდეგ სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მას ბირმაში არ უშვებდნენ, ხოლო სუ ჩჟის სთავაზობდნენ, ქვეყანა დაეტოვებინა. ქალი სამშობლოში დარჩა, რადგან ეშინოდა, რომ უკან აღარ შეუშვებდნენ.

მოგვიანებით სუ ჩჟის არაერთხელ შესთავაზეს ქვეყნის დატოვება, მაგრამ უკან დაბრუნების უფლების გარეშე. მან უარი თქვა ქვეყნიდან წასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ შვილები ენატრებოდა და მათთან განშორება მისი ყველაზე დიდი მსხვერპლი იყო.

2002 წელს მთავრობამ აუნ სან სუ ჩჟი გაათავისუფლა, თუმცა 2003 წელს მას და მის მომხრეებს თავს დაესხნენ, ბევრი მათგანი დაჭრეს და მოკლეს. სუ ჩჟიმ გაქცევა მოახერხა, მაგრამ დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. შემოდგომით ჯანმრთელობა გაუუარესდა და ოპერაცია დასჭირდა. ის ციხიდან გამოუშვეს და შინაპატიმრობაში დატოვეს.

### სახალხო ლიდერი

ახალი საყოველთაო არჩევნები მიანმიში მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 2010 წელს ჩატარდა. მასში სოლიდარობისა და განვითარების პარტიამ გაიმარჯვა, რომელსაც ქვეყნის სამხედრო ხუნტა უჭერდა მხარს. არჩევნები ბევრს მიაჩნდა გაყალბებულად, მაგრამ შედეგი არ შეცვლილა.

არჩევნების შემდეგ სამხედროებმა თანხმობა განაცხადეს, აუნ სან სუ ჩჟის ციხიდან გათავისუფლების შესახებ. მან შინაპატიმრობაში თხუთმეტი წელი გაატარა.

2011 წელს აუნ სან სუ ჩჟიმ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. წინასაარჩევნო ოფიციალურ გამოსვლაში ის კონსტიტუციის რეფორმის წინადადებით გამოვიდა, მოითხოვა შემზღუდავი კანონების გაუქმება და დამოუკიდებელ სასამართლო სისტემის შექმნა. აპრილში მან პარლამენტში ადგილი მოიპოვა.

აუნ სან სუ ჩჟიმ 2012 წელს განაცხადა, რომ 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას. თუმცა, კონსტიტუციის თანახმად მას ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან უცხოელის ცოლი იყო და მისი შვილებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. მაშინ სუ ჩჟი პარტიულ მუშაობაზე გადაერთო. მისმა პარტიამ (ნაციონალური ლიგა დემოკრატიისთვის) არჩევნების შედეგად პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა, მთავრობა შეექმნათ და პრეზიდენტი დაენიშნათ.

სუ ჩჟი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, 2016 წელს კი ხინ ცჟიმ ის მიანმის სახელმწიფო მრჩევლად დანიშნა. ახალი თანამდებობა შეესაბამებოდა პრემიერ-მინისტრის მოვალეობებს და აუნ სუნ ჩჟის უფლებას აძლევდა, ყველა სფერო ემართა. ფაქტობრივად, ის ქვეყნის არაოფიციალური მმართველი გახდა.

### დემოკრატიის განადგურებული სიმბოლო

პოლიტიკოსები და აქტივისტები აუნ სან სუ ჩჟის სულის ძლიერებით და მსხვერპლშეწირვით აღფრთოვანებული იყვნენ. ნობელის პრემიის გარდა მან ბევრი ჯილდო მიიღო მიანმიში დემოკრატიის დამყარებაში შეტანილი წვლილისთვის. 2015 წელს კი სუ ჩჟის მიმართ მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

მიზეზი მიანმიში როხინჯას ხალხის დევნა გახდა. მათ საცხოვრებლებიდან ყრიდნენ, ცემდნენ და კლავდნენ. საზოგადოების აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ როხინჯას ხალხი მუსულმანები არიან. მიანმის მთავრობა მათ მოქალაქეობაზე უარს ეუბნებოდა, რადგან ბანგლადეშიდან არალეგალურად ემიგრირებულებად მიიჩნევდა.

აუნ სან სუ ჩჟი იმაშიც დაადანაშაულეს, რომ 2012 წელს რაკხაინის შტატში მომხდარ არეულობებში არ ჩაერია. სუ ჩჟიმ განაცხადა, რომ ის როხინჯას ხალხს მიანმელებად არ მიიჩნევს და დაამატა, რომ ამგვარი დამოკიდებულება მათ მიმართ გამოწვეულია ბუდიზმის მიმდევართა შიშით, რომლებიც თავადაც განიცდიდნენ დევნას მუსულმანების მხრიდან. სუ ჩჟიმ თქვა, რომ შერიგებისთვის იმუშავებს, მაგრამ ვერავის მხარეს ვერ დაიჭერს.

როხინჯას ხალხს დალაი-ლამამ დაუჭირა მხარი. მან მოუწოდა სუ ჩჟის, რომ ჩარეულიყო ამ სიტუაციაში, მაგრამ ის კვლავ გვერდზე დარჩა. ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, სუ ჩჟის ამგვარი ქმედება არჩევნებით იყო გამოწვეული — მიანმიში სამხედროებს დიდი ძალაუფლება გააჩნდათ და მას არ უნდოდა ქვეყნის მოსახლეობას დაპირისპირებოდა, რომლებიც როხინჯას ხალხის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი.




2020 წელს სუნ ჩჟის პარტიამ მართლაც გაიმარჯვა არჩევნებში, პირადად მას მოსახლეობის 70% უჭერდა მხარს, მაგრამ 2021 წლის თებერვალში სამხედროებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს, არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადეს და 75 წლის აუნ სან სუ ჩჟი კვლავ დააპატიმრეს.



**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), მთვარისა კევლიშვილი (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99